ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 27 იანვარი, 2022 №19 (8797) ფასი: 60 თეთრი

## პროკურატურამ მეტროში ლეონ ა-ს ცემისთვის დაკავებულ 2 პოლიციელს ბრალდება წარუდგინა

გვ.5



# „გახარიას ვურჩევ, ნათია მეზვრიშვილი გადამალოს“



## შალვა ხაჭაპურიძე: „დღეს ქვეყანას ოპოზიცია არ ჰყავს“



გვ.3

## „სააკაშვილმა პოლიტიკური პროცესი დაანგრია“

გია ხუხაშვილი: „40 ადამიანი იღუპება კოვიდით ყოველდღე. მათი სიცოცხლე არაფერია და სააკაშვილს რამდენი აქვს წნევა ყოველ დილით, ეს არის მთავარი თემა?!“



გვ.2

## მურმან დუმბაძე: „ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ კოალიციურ მთავრობას შეუძლია“

გვ.3



ვახტანგ მაისაია: „ამერიკა თავისი ძალისხმევით ორ ფრონტზე ომობს“



## „რუსეთი უკრაინის ხელისუფლებას აიძულებს, გადადგეს ან ქვეყნის ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს“

გვ.4

გერმანული მედია ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდებს, არ გაიმეოროს უკრაინისა და საქართველოს წინაშე დაშვებული შეცდომები



გვ.4

## რა თავისტკივილს უმატებს რუსეთს თურქეთი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** „გორის რესტორან „ჭოზეფში“ ნაცხუბარი პოლიციელები ქურდებმა გოგლიკამ და ჩორნამ შეარიგეს“

**2** „კმარა სიცრუე და ჩვენი აგდება!“ დევნილების ულტიმატუმი ჯანდაცვის მინისტრს

**5** იმერეთში 1 ღამეში 35 მანქანა გაძარცვეს

**6** ბაიდენი პუტინს პერსონალური სანქციებით დაემუქრა

# „სააკაშვილმა პოლიტიკური პროცესი დაანგრია“

## გია ხუხაშვილი: „40 ადამიანი იღუპება კოვიდით ყოველდღე. მათი სიცოცხლე არაფერია და სააკაშვილს რამდენი აქვს წნევა ყოველ დილით, ეს არის მთავარი თემა?!“

იაგო ნაცვლიშვილი

**ჩანს თუ არა ოპოზიცია პოლიტიკურ ველზე? რატომ ალაპარაკდნენ უმრავლესობაში რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატისთვის მანდატის შეჩერებაზე და სად გაქრა გახარია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**

***— საპარლამენტო უმრავლესობაში ისევ ალაპარაკდნენ ოპოზიციონერი დეპუტატების — ბადრი ჯაფარიძის, შალვა ნათელაშვილისა და ელენე ხოშტარიასთვის უფლებამოსილების შეჩერებაზე. რას ემსახურება ეს პოლიტიკა?***

— ასე აქვთ ტვინი მოწყობილი, რომ, ერთი მხრივ, მუდმივად უნდა ილაპარაკონ დამშვიდებასა და შერიგებაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ჰქონდეთ მცდელობა, რომ ოპოზიცია ჩააყენონ თავდაცვის მდგომარეობაში. ამ ტიპის ხელისუფლებაა, იმიტომ რომ, როგორც კი შეტევას შეაჩერებენ, მაშინვე იწყებენ ჩამოშლას. ეს იციან და ამიტომ ცდილობენ მუდმივად, რომ ინიციატივა ჰქონდეთ ხელში. ამას მერე ვაჭრობისთვის გამოიყენებენ თუ სხვა რამისთვის, ეს არ ვიცი. მორჯულების მცდელობაა თითქოს, რაშიც დიდი ლოგიკა არ არის, იმიტომ, რომ უპერსპექტივოა ასეთი პოლიტიკური მოლოდინები, მაგრამ, რაც იციან, იმას აკეთებენ ინერციით და მეტი არაფერი.

***— იმ პრინციპით მოქმედებენ, საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო?***

— კი, ამ პრინციპით მოქმედებენ.

***— საერთოდ ოპოზიციას ხედავთ დღეს?***

— პოლიტიკური პროცესი არ არსებობს, ვერ ვიტყვი, რომ მკვდარია, მაგრამ იმიტირებული პროცესია გარკვეულწილად. ოპოზიციამ ჩვენი პროფესია ჩაანაცვლა, ჩვენი ადგილი დაიკავეს. ისინი პოლიტიკას კი არ აკეთებენ, ექსპერტებად იქცნენ. კი ბატონო, მე არ ვარ წინააღმდეგი.

***— გეთანხმებით, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ძირითადად ანალიზით არიან დაკავებული. მეც ბევრჯერ მიფიქრია, რა კარგი პოლიტოლოგი იქნებოდა-მეთქი.***

— კი, რა თქმა უნდა, კარგი პოლიტოლოგები იქნებიან. დადიან ეთერებში და აცხადებენ, რომ ერთ კვირაში გავლენ ხალხში, ოღონდ ეს ერთი კვირა არა და აღარ გავიდა. ერთი წელია, ამას იმუქრებიან, რომ ერთ კვირაში ხალხში გავლენ. მერე ზაფხული მოვა და ცხელა, მერე შემოდგომა მოვა და რთველია, ზამთარში ცივა, გაზაფხულზე წვიმს და როგორ გავიდნენ ხალხში?!

***— მუდმივად გვესმის, ამას გავაკეთებთ და იმასო, მაგრამ ეს არ ჩანს და ეს კიდევ უფრო მეტ ნიჰილიზმს ხომ არ იწვევს?***

— რა თქმა უნდა. რა არის იცით? — საზოგადოება უამრავი პრობლემის წინაშეა. რისთვის არსებობს ოპოზიცია ქვეყანაში? — იმისთვის, რომ თუ მას აქვს პოლიტიკური ამოცანები, მან უნდა მოახდინოს უკმაყოფილების კაპიტალიზაცია, რაც საზოგადოებაშია დაგროვილი და ამ ტალღაზე ამ თემებით უტევდეს ხელისუფალს და გრძელვადიან პერსპექტივაში საარჩევნო შედეგს იღებდეს, ანუ ხალხს არწმუნებდეს, რომ ის იბრძვის მათი ინტერესებისთვის და რომ ის ამ პრობლემებს უკეთესად გადაწყვეტს. ამას უნდა აკეთებდეს ოპოზიცია. ამას არ აკეთებენ. აბსოლუტურად არაფერს არ აკეთებენ.



**„პოლიტიკური პროცესი ისე ჩაიკეტა, რომ გახარიასთვის სივრცე არ დარჩა, თუმცა პოტენციურად ალტერნატიული სივრცე მაინც ის არის“**

***— თუნდაც რაც იყო 2 დღის წინ შემთხვევა, როდესაც პოლიციელი გაუსწორდა არასრულწლოვან შშმ პირს. ხომ შეეძლოთ, ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ჩაგრული ადამიანების გვერდით?***

— თქვეს, ფეხები აბარტყუნეს და მორჩა. 2 დღეში ესეც დაავიწყდებათ. იცით, რა არის? ჩვენი პოლიტიკური ელიტა, იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთის ოპონენტები არიან, პრინციპში ერთი მენტალიტეტის ხალხია, ერთ მატრიცაში ცხოვრობენ. საზოგადოება უყურებს ამ ყველაფერს, რომელსაც არ მოსწონს ხელისუფალი, მაგრამ ვერც ოპოზიცია არწმუნებს, რომ სხვანაირი იქნება. ერთი ჭირის მეორით შეცვლას რა აზრი აქვს?! ასე ფიქრობს საზოგადოების უდიდესი ნაწილი.

რამდენი თემა იყო: საყოველთაო მოსმენები, რაზეც იყვირეს და გაჩუმდნენ; მერე იყო შარლ მიშელის შეთანხმების დარღვევა, რაც იყო ყოვლად წარმოუდგენელი, რადგან საერთაშორისო შეთანხმება იყო; მერე იყო არჩევნებზე მამაძაღლობა. ვინმეს ახსოვს ეს თემები?! აღარაფერს ვამბობ წარმოუდგენელ ინფლაციასა და სხვა სოციალურ პრობლემებზე. შესაბამისად, ხალხს ძალიან უჭირს და უნდა ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ, რომ შეცვალოს, ცარიელი ადგილი ხომ არ დარჩება, ვიღაცით ხომ უნდა ჩაანაცვლოს?!

კი ბატონო, ყველაზე მსხვილი ძალა ნაციონალური მოძრაობაა და მან თავისი დღის წესრიგი ერთი კაცის ციხიდან გამოშვებაზე ჩაკეტა. მეტად არც არაფერზე აღარ ფიქრობენ. დღესაც კი 40 ადამიანი იღუპება კოვიდით. ინფიცირების მაჩვენებელზე არაფერს აღარ ვამბობ. იმ ადამიანების სიცოცხლე სიცოცხლე არ არის და მიშა სააკაშვილს რამდენი აქვს დილით წნევა, ეს არის მთავარი თემა?! კი ბატონო, მნიშვნელოვანია და მას ჯანმრთელობას ვუსურვებ, მაგრამ... ხალხი უყურებს ამას და, შესაბამისად, ნიჰილიზმი და სკეპტიციზმი, ბუნებრივია, ძლიერდება. ხალხი ასე ფიქრობს, არ მომწონს ხელისუფლება, მაგრამ ესენი საერთოდ ვინ არიანო.

***— თვლით, რომ სააკაშვილის თემის ირგვლივ ტრიალი დამაზიანებელია ოპოზიციისთვის?***

— კი არ ვთვლი, ამან დაანგრია პოლიტიკური პროცესი. თუ მანამდე ეს ხალხი რაღაცას ცდილობდა, რომ რაღაც თემებზე ელაპარაკა, მიშას ჩამოსვლის შემდეგ მიშამ ჩაკეტა პოლიტიკური პროცესი თავის თავზე, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლებას აწყობს. მას ურჩევნია, მიშასა და ნაციონალურ მოძრაობაზე ილაპარაკონ, ვიდრე იმ პრობლემაზე, რომელიც აქვთ და ამაზე პასუხები არ აქვთ.

***— გასაგებია, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის ეს არის მთავარი თემა, მაგრამ ე.წ. შუაშისტური პარტიები არაფერს მოქმედებენ, თუნდაც პროცესზე გამიჯვნით, რომ მათი დღის წესრიგი სხვაა?***

— აქ არის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. რესურსები არ აქვთ. არ ფლობენ ტექნოლოგიებს, არ აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მოდით, ასე ვთქვათ, დიდი ფანტაზია არ აქვთ. შესაბამისად, ვიღებთ იმ სურათს, რომელსაც ვიღებთ.

***— ჩაკეტილი წრიდან გამოსვლა როგორ შეიძლება? ხედავთ რაიმე ასეთ გზას?***

— კონკრეტულს არაფერს. ბუნებრივია, ისტორიას ახასიათებს გარკვეული კანონზომიერებები. ისტორიული კანონზომიერებით, ბუნებრივია, მოთხოვნა დეფიციტურია და ვიღაცა ამ ფლანგზე გამოჩნდება, სიცარიელე დიდხანს ვერ იქნება და ამ სეგმენტს დაიკავებს, მაგრამ ეს ვინ არის და როგორ მოხდება, მე ამაზე ვერაფერს ვერ გეტყვით.

***— არჩევნების პერიოდში ცალკე მოთამაშე იყო რიტორიკის დონეზეც და მოქმედებებითაც გახარია, რომელიც არჩევნების მერე ფაქტობრივად გაქრა. რატომ?***

— პოლიტიკური პროცესი ისე ჩაიკეტა, რომ მისთვის სივრცე არ დარჩა, იმიტომ, რომ პროცესი საერთოდ არ მიმდინარეობს. მისი მთავარი ამოცანაა, შეინარჩუნოს რაღაც პერიოდით ის კაპიტალი, რომელიც აქვს. ეს უნდა მოახერხოს იქამდე, სანამ სივრცე არ გაჩნდება. მე მაინც ვთვლი, რომ პოტენციურად გახარია მაინც ყველაზე ალტერნატიული სივრცეა.

***— არ ჩნდება იმიტომ, რომ ერთიან სივრცეში არ „აითქვიფოს“?***

— სად უნდა შემოვიდეს?! დღეს ისეთი დღის წესრიგია, რომ არანაირი აზრი არ აქვს.

# „ხელისუფლება სააკაშვილზე ძალადობის კვალის წაშლას ცდილობს“





— გორის ჰოსპიტალში ვიდეოკადრები წაშალეს, რომლებიც მიხეილ სააკაშვილზე ძალადობის ფაქტს ასახავდა.

ამის შესახებ მესამე პრეზიდენტის ადვოკატმა განაცხადა.

დიტო საძაგლიშვილის მტკიცებით, ხელისუფლება ცდილობს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალი წაშალოს.

— ცნობილი გახდა, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა, დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერები არ არსებობს. ეს ჩანაწერები წაშლილია.

მოგეხსენებათ, რომ გორის ჰოსპიტალში პენიტენციარული სამსახურის წარმომადგენელი თავს დაესხა მიხეილ სააკაშვილს და იძალადეს მასზე. ახლა აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებსა ცდილობს კვალის წაშლას, საკუთარი დანაშაულის დაფარვას.

არსებული მასალები ცალსახად და უტყუარად ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას, — განაცხადა დიტო საძაგლიშვილმა.

# „კმარა სიცრუე და ჩვენი აგდება!“

## დევნილების ულტიმატუმი ჯანდაცვის მინისტრს

კმარა სიცრუე და ჩვენი აგდება! — სანატორიუმ „ქართლში“ შესახლებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები ჯანდაცვის მინისტრს ვადას 27 იანვრის 15 საათამდე აძლევენ.

იმ შემთხვევაში, თუ ჯანდაცვის მინისტრი გადაწყვეტილებას არ მიიღებს და დევნილებს საცხოვრებელი ფართით არ დააკმაყოფილებს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები აპირებენ, ომბუდსმენის აპარატსა და იურისტთან ერთად ზურაბ აზარაშვილის კაბინეტში შევიდნენ.

— ჯანდაცვის მინისტრო, 27 იანვარს 3 საათზე ველოდებით თქვენს პასუხს. 3 საათის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატსა და იურისტთან ერთად პირდაპირ შემოვდივართ თქვენს კაბინეტში. კმარა სიცრუე, კმარა ჩვენი აგდება და ჩვენზე ასეთი სიცრუის ლაპარაკი! — აცხადებს ერთ-ერთი დევნილი პირი.

სანატორიუმ „ქართლის“ ავარიული მდგომარეობის გამო შენობაში შესახლებული 150-მდე ოჯახი ღამეს ღია ცის ქვეშ ათევს. დევნილები ჯანდაცვის სამინისტროსთან აქციებს პერმანენტულად მართავენ. ხელისუფლებამ მათ შესთავაზა, რომ შეიქმნას 3 კაცისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელთანაც პრობლემის გადაჭრის გზებზე ისაუბრებენ.

დევნილები მოითხოვენ, სამუშაო ჯგუფში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და იურისტი შევიდნენ, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო ამ წინადადებაზე უარს აცხადებს.

# დავით სერგეენკო: „მხოლოდ თურქული ბაზრის გახსნა მედიკამენტების გაიაფებისთვის საკმარისი არ არის“



„ქართული ოცნების“ წევრ დავით სერგეენკოს განცხადებით, მხოლოდ თურქული ბაზრის გახსნა მედიკამენტების გაიაფებისა და ხარისხის შენარჩუნებისთვის საკმარისი არაა და ეს საკითხი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული.

როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებს პარლამენტში ჯანდაცვის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, საჭიროა მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის გაძლიერება და სხვა ღონისძიებების გატარება.

— მედიკამენტების გაიაფება ხარისხის შენარჩუნებით რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. თურქული ბაზრის გახსნა ერთ-ერთი და არა ერთადერთი საკითხია. ბაზრის გახსნა გამოიხატა იმაში, რომ თურქული მედიკამენტების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა და გაუტოლდა რამდენიმე სხვა ქვეყნისას.

მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა პოლიტიკური შეთანხმებები. რამდენადაც ვიცი, ამაზე მუშაობა დაწყებულია და საჭირო იქნება ხარისხის კონტროლის სისტემის გაძლიერება, ისევე როგორც სხვა კომპლექსური ღონისძიებები. რამდენიმე დღეში მრჩეველთა საბჭოს ფორმატში გვექნება შეხვედრა და უფრო მეტი ინფორმაცია მექნება, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

# ფინანსთა მინისტრი: „ბიზნესს 2021 წელს თითქმის 2 მილიარდი ლარი დაუბრუნდა“

ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილის განცხადებით, გამოვლენილ ყალბ დღგ-ებთან მიმართებით რაიმე ტიპის არსებითი ზრდა არ გვაქვს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ბიზნესს გასული წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობის თანხა დაუბრუნდა დღგ-ს ზედმეტობის სახით.

— ჩვენ სახეზე გვაქვს უპრეცედენტოდ მაღალი თანხა, რომელიც ბიზნესს დაუბრუნდა დღგ-ს ზედმეტობის სახით. ეს არის 1 მილიარდ 930 მილიონი ლარი 2021 წელს. ამ მაჩვენებელს თუ შევადარებთ გასულ პერიოდს, ეს არის დაახლოებით, 11 წლის განმავლობაში რაც ჯამურად დაბრუნებულა და კიდევ უფრო მეტი.

ბუნებრივია, ეს მოითხოვს შესაბამისი სისტემების დანერგვას და რეფორმა, რომელიც მომზადდა, სწორედ ამას გულისხმობდა, დაინერგა შესაბამისი ელექტრონული სისტემები, მათ შორის, კვალიფიციური გადამხდელის სტატუსის შემოღება.

ამ მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფაქტები, რომლის გაცხადებაც ხდება შემოსავლების სამსახურის მიერ, არის ერთგვარი პრევენციის მექანიზმიც იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები, რაც შეიძლება ნაკლები მოხდეს. ამასთანავე, სისტემა იძლევა მსგავსი ფაქტების დროულად გამოვლენის საშუალებას, რათა შესაბამისი პირები სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ.

გამოვლენილ ყალბ დღგ-ებთან მიმართებით რაიმე ტიპის არსებითი ზრდა არ გვაქვს. სისტემა მუშაობს ნამდვილად გამართულად და უზრუნველყოფს იმას, რომ მოხდეს ზედმეტად დაბრუნებული თანხების მიწოდება ბიზნესზე, რომელიც მათ ნამდვილად ეკუთვნით, — განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ კოალიციურ მთავრობას შეუძლია“

## მურმან დუმბაძე: „საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ რუსულ საქმეს აკეთებს“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, გუბაზ სანიკიძე ამბობს, რომ ოპოზიცია ათი წელია, მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლებას ცდილობს, მაგრამ ვერ ჩაანაცვლა. რას იტყოდით?***

— მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ ქართული პოლიტიკის ფაქტორია, არამედ საპრეზიდენტო უფლებამოსილების დასრულების შემდეგ მან გააგრძელა მოღვაწეობა უცხოეთში. სააკაშვილს აღიარებს მთელი დასავლეთი, განსხვავებით საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებისგან. პოლიტიკურ ძალებს, პარტიებს, პოლიტიკოსებს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მოგვიწევს ამ ქვეყნის მოქალაქეების გადაწყვეტილებასთან შეგუება. ამ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უფლება, რომ სააკაშვილი მოსწონდეთ.

***— რამდენად საკმარისია ეს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად?***

— ჩვენი ამოცანა მრავალპარტიული დემოკრატია, ამ ქვეყნის კოალიციური მართვა უნდა იყოს. ამიტომ ვითხოვთ პროპორციულ არჩევნებს, რომელიც სწორედ მრავალპარტიულობას გულისხმობს და არა ერთი პარტიის ჰეგემონიას, როგორც აქამდე იყო.

მე ვიბრძვი კოალიციური მმართველობისთვის. მმართველობის მხოლოდ ეს ფორმა გამოიყვანს ამ ქვეყანას იმ ჩიხიდან, რომლიდანაც ვერა და ვერ გამოვედით. რაც შეეხება იმას, კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილი იქნება თუ არა ხელისუფლების წევრი მომავალში, ეს მასზეა დამოკიდებული. ასეთი განაცხადი მას არასდროს არ გაუკეთებია.

ნაციონალური მოძრაობა ამ კოალიციაში დიდი დოზით რომ იქნება წარმოდგენილი და ალბათ ყველაზე უფრო მეტად, ეს უდავოა. ამას ელემენტარული არითმეტიკა გვეუბნება. საქართველოს სამი მოქალაქიდან ერთი ნაციონალურ მოძრაობას უჭერს მხარს. ამას გეუბნებით პოლიტიკოსი, რომელიც ამ ქვეყნის ყველაზე მეტ მოქალაქეს შეხვდა.

***— დღეს რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში, არის დაპირისპირება და გაუგებრობა?***

— ამას ვერ დაგიდასტურებთ. საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს პოლიტიკურ საბჭოსთან და ვიცი, რაც ხდება. აზრთა სხვადასხვაობა ჩვეულებრივი ამბავია, განსაკუთრებით იმ პარტიაში, რომლის საბჭოც 120 წევრისგან შედგება.

***— ბატონო მურმან, მამუკა ხაზარაძე პირდაპირ ამბობს, რომ გიორგი კვირიკაშვილი ანაკლიის პროექტს გადაჰყვა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— მე შემიძლია, მამუკა ხაზარაძის ეს სიტყვები დავადასტურო. მეტიც, უფრო ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ რუსულ საქმეს აკეთებს.

***— კონკრეტულად რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***



— ანაკლიის პროექტის ჩაშლა არის პირდაპირ რუსული ინტერესების გატარება საქართველოში. ჩვენ გვითხრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალიან მაღალ დონეზე, რომ ანაკლიის პროექტს არ აქვს მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა და ის გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერება, მისი ყოველი გაჩერებული დღე საქართველოს ეკონომიკის, საქართველოს სუვერენიტეტის, საქართველოს უსაფრთხოების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. ეს პროექტი შეაჩერა ივანიშვილმა და ივანიშვილი გახდა იძულებული, გადაეყენებინა თავისი ყველაზე საყვარელი პრემიერი.

***— იყო კვირიკაშვილი ივანიშვილის საყვარელი პრემიერი?***

— იყო, ეს თავად ივანიშვილმა თქვა, როდესაც პარტიის თავმჯდომარე იყო. გიორგი კვირიკაშვილი არის ჩემთვის აღმოჩენა, როგორც პოლიტიკოსიო. ეს მისი სიტყვებია, მაგრამ, როგორც კი ძალიან დიდი ძალა, რუსეთი, დაუპირისპირდა, ბუნებრივია, მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო.

***— დღეს გადაწყვეტილებებს კვლავ ივანიშვილი იღებს? ღარიბაშვილი თავისი გუნდის ფორმირებას ახდენს და ცდილობს, პროცესები თავად მართოს.***

— არა, არა, ეს მოჩვენებითია. ხელისუფლება არის ბიძინა ივანიშვილი. ის თავისი ჩრდილითაც მართავს პროცესებს. ღარიბაშვილის მობრუნება ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება იყო, ისევე, როგორც გახარიას პრემიერად დანიშვნა თავის დროზე. მართალია, წასვლა არ იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, თვითონ გადადგა, მაგრამ აშკარაა, რომ ივანიშვილთან დაეძაბა ურთიერთობა. ამდენად, „ქართულ ოცნებას“ მართავს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ, თავად „ქართული ოცნება“ მართავს თუ არა ქვეყანას, ეს ნამდვილად არის საკითხავი.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ არის ჩუმად გიორგი გახარია?***

— გახარიას გაჩუმება ისევ მას, მის პოლიტიკურ იმიჯსა და მის პარტიას დაარტყამს. თუ გაჩუმდება, თუ შეეშინდება, მიიმალება და კულუარებიდან დაიწყებს მართვას, დაემართება ის, რაც ბიძინა ივანიშვილს დაემართა. გამოვიდეს და თქვას, რა ხდება პოლიციაში! განყოფილებებში ცემა რომ აღდგა, ისე, როგორც 90-იანი წლების მილიციაში, ფაქტია. გამოვიდეს და ილაპარაკოს ამაზე.

# „გახარიას ვურჩევ, ნათია მეზვრიშვილი გადამალოს“

## შალვა ხაჭაპურიძე: „დღეს ქვეყანას ოპოზიცია არ ჰყავს“



**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***— ბატონო შალვა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ მეტროსადგურში მოზარდზე პოლიციელების მხრიდან ძალადობას ჰქონდა ადგილი. ორი პოლიციელი დაკავებულია, თუმცა საზოგადოების ნაწილი აღშფოთებას ვერ მალავს. უკვე იმის კადრება დაიწყეს, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება კადრულობდაო. რას იტყვით თქვენ, როგორც უფლებადამცველი?***

— შედარება ამისი რაც დღეს ხდება, სააკაშვილის რეჟიმთან, ცოტა არ იყოს, უხერხულია. სააკაშვილის რეჟიმის დროს რაც ხდებოდა, ვიცით ყველამ, ხალხი იცხრილებოდა ქუჩებში და გაუგონარი სისასტიკე ტრიალებდა. ეს არის კონკრეტული ფაქტი, თუმცა ასეთი ფაქტი შესაძლებელია ბევრი იყოს. არის ფაქტები, სადაც გადაცდომებია პოლიციის მხრიდან, სამწუხაროდ. თუმცა, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში ასეა. ეს ამერიკაშიც ხდება, ევროპაშიც და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. აქ მთავარია, სახელმწიფო როგორ უდგება პოლიციელის გაწვრთნას, უტარდებათ თუ არა მათ ტრენინგები, შიში ადამიანი თუ შეხვდა, როგორ უნდა იმოქმედოს. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ზოგადად რთულია, სპეციალურ მიდგომებს საჭიროებს, უტარდებათ თუ არა სათანადო სწავლება, ხდება თუ არა ამ პოლიციელების გადამზადება. ამერიკაში ვიყავი, როდესაც მოსამართლე გახლდით და იქ გვითხრეს, ჩვენ კი ვატარებთ რეფორმებს პოლიციაშიც, პროკურატურაშიც, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება რეფორმებისას ექცევა სასამართლოსო, რადგან სასამართლოა ფილტრი, საცერი, სადაც ეს ყველაფერი თავს იყრის და შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებებში აისახება.

***— ჩვენ სასამართლო სისტემაშიც სერიოზული პრობლემები გვაქვს...***

— სამწუხაროდ, ასეა. ახლა მაქვს ერთი ასეთი საქმე, მოსამართლე შარაძე იხილავს, სადაც ბრალდებული გახლავთ რამი რიჟამაძე. მას აშკარად ჩადებული აქვს ნარკოტიკული ნივთიერება. პოლიციელები მოდიან, პატიოსნად ამბობენ, რომ კი, მივიღეთ შეტყობინება, მივედით შემთხვევის ადგილზე, გადაღება იმიტომ არ მოვახდინეთ, რომ ტელეფონი დაგვივარდა ძირს, კამერა რატომ არ ჰქონდათ, ამაზე პასუხს ვერ იძლევიან. როგორც ბრალდებული ამბობს, ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება და სად გინდა ახლა ამტკიცო?! მოსამართლე გამოიტანს ალბათ გამამტყუნებელ განაჩენს, მერე აპელაცია ზედაც არ უყურებს საქმეებს, როგორც წესი. საერთოდ, რატომ არის ეს აპელაცია, უნდა გაუქმდეს. უზენაესი დასაშვებადაც არ ცნობს და გაუშვებენ ადამიანს 7-8 წლით ციხეში.

***— ასე აქტიურად არ იყო ეს ჩადებები და ახლა ისევ დაიწყო, ანუ გაუარესდა ამ კუთხით საქმე?***

— სასამართლო კონტროლი თუ არ იქნება, რა პრობლემაა, რა შეუშლით ხელს?! პიროვნება, რომელსაც მინიჭებული აქვს ძალაუფლება და თან იარაღის ტარებისა და მისი გამოყენების ნებართვით, ყოველთვის უნდა იყოს მოთოკილი გარკვეული მექანიზმებით. ამ შემთხვევაში ყველაზე აქტიური მექანიზმი არის სასამართლო და ამ შემთხვევაში პლუს საქართველოში შემოღებული იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

***— რომელსაც აუქმებს ეს ხელისუფლება.***

— დიახ გააუქმეს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ესეც პაროდია იყო. შენ რომ ხედავ, პროკურატურა თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, სწორედ მერე ჩნდება სახალხო დამცველის ინსტიტუტი, მერე ჩნდება ბიზნესომბუდსმენი და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. ბიჭო, რად გინდა ამდენი სამსახური, პროკურატურას პირდაპირ უწერია კანონში, რომ პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას ნებისმიერ კანონდარღვევაზე. პროკურატურა რომ არ ასრულებს თავის ფუნქციას, აი, მერე ჩნდება ეს ინსტიტუტები. თქვენ გგონიათ, გერმანიაში არის სახალხო დამცველის ინსტიტუტი და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური? ან ამერიკაში არის? არა, იქ არის პროკურატურა და არის სასამართლო. ისინი ასრულებენ თავის ფუნქციას. ინსტიტუციების სისუსტე გვაქვს ჩვენ და აი, მერე ხდება ეს ყველაფერი, რაც ხდება. ახლა გომელაურს დააბრალო პირსისხლიანობა, ცოტა არასერიოზულია. ამ ყველაფერში ცუდი რა არის, იცით? გუშინ ისეთი ხალხი აპროტესტებდა ამ ყველაფერს, გულით რომ მდომოდა მისვლა, ვერ მივიდოდი.

***— ბევრი საუბრობს უკვე ამაზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა დგება პროტესტის სათავეში, ის უკვე მარცხისთვის არის განწირულიო. ასეა? ალბათ „ოცნებისთვისაც“ ხელსაყრელია, რომ სწორედ ნაცმოძრაობა დგება პროტესტის სათავეში.***

— ხომ გეუბნებით, მისვლა მინდოდა, მაგრამ არ მივედი, ისეთი ხალხი იდგა, რომლის დროსაც წამებები და მკვლელობები მასობრივად ხდებოდა. ასეთი ხალხის გვერდში როგორ უნდა დადგე?! ასეთ აქციას მხარდაჭერა არ ექნება, არ გავა ხალხი, რატომ გავა.

***— მერე ამით ქვეყანა რომ ზარალდება, ბატონო შალვა?***

— დიახ, მერე ვართ იმ ჯანდაბაში, სადაც ვართ. „ოცნებაც“ თავს გავიდა. დღეს ხელისუფლება არ არის არავისთან ანგარიშვალდებული. ასეთი რამ 30 წლის განმავლობაში და ნაცებიც რომ ნაცები იყვნენ, მათაც არ უქნიათ. ოპოზიცია აქტიურად გამოდიოდა, ვიკრიბებოდით და მათ ჩვენთვის ანგარიშის გაწევა უწევდათ. იგივე ბიძინა ივანიშვილი რომ მოვიდა და ამდენი ხალხი შემოიკრიბა, ეს ანგარიშსწორება იყო იმ ხელისუფლების წინააღმდეგ. დღეს ოპოზიციური სპექტრი დაკავებული აქვს ნაციონალურ მოძრაობას. ნაციონალურ მოძრაობას ხალხი არ მიჰყვება.

***— გათიშე და იბატონეო, ზუსტად ასე გააკეთა ივანიშვილმაო.***

— დიახ. წარმოიდგინეთ, 600 ათასი კაცი თუ ხმას გაძლევს და ამ პარტიის ლიდერი, სააკაშვილი, დაპატიმრებულია, 1% ხომ მაინც უნდა გამოდიოდეს მიტინგზე?! 1%-ც ვერ გამოჰყავს ანუ აქაც უკვე კითხვის ნიშნები ჩნდება. რა ხმები აქვთ ამას მიღებული?!

***— საით მიანიშნებთ?***

— „ოცნება“ ხომ არ აძლევს მათ ხმებს სპეციალურად, რომ სხვა ოპოზიციურმა პარტიამ არ დაიკავოს ეს ნიშა, რეალურმა ოპოზიციურმა ძალამ. ჰყავდეთ მუდმივად მთავარ ოპოზიციურ ძალად. თუ მიაქციეთ ყურადღება, ვოლსკი გამოვიდა გუშინ და ნახეთ, რა თქვა? საფიქრალია, ნაციონალური მოძრაობის მიერ დადგმული ხომ არ იყო მეტროპოლიტენში მომხდარი ფაქტიო. ნახეთ, როგორი პრინციპი აქვთ, რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერში ნაციონალები არიან დამნაშავე. ხალხი კი ნაციონალების დაძახილზე არ გავიდა. ძალიან მარტივი პრინციპია, ხელისუფლებისთვის მთავარია, არ გაჩნდეს რაიმე ახალი ოპოზიციური ძალა, იმიტომ, რომ იმათ ხალხი გაჰყვება. დამისახელეთ ახალი პოლიტიკური ძალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რომელსაც აქვს სერიოზული ნიშა. ეს ტელევიზიებიც პრესცენტრებად ჰყავს ამა თუ იმ პარტიას.

***— გახარიას იმედი ჰქონდათ, მაგრამ აღარ ჩანს პოლიტიკურ ველზე. პარტიაც ეშლებაო. რა მოხდა?***

— ფაქტობრივად არ არის ეგ პოლიტიკური ძალა. ახლა ნათია მეზვრიშვილის იმედსა და მის განცხადებებზე თუ უნდათ, იყვნენ და მე ვურჩევდი გახარიას, რომ ნათია მეზვრიშვილს განცხადებები საერთოდ არ გააკეთებინოს, იმიტომ, რომ მოუტრიალდება მერე ჩემნაირი ერთი დაინტერესებული და ნათია მეზვრიშვილის კაიქალობების მაგალითებს დაუდებს წინ, ნაციონალური მოძრაობის დროს რას აკეთებდა. ამნეზია არ სჭირს ხალხს, ნათია მეზვრიშვილის პერიოდში ნამუშევარი პროკურორებიც არსებობენ და ამიტომ ვურჩევდი გახარიას, ნათია მეზვრიშვილი გადამალონ. ნათია მეზვრიშვილი იყო ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი არქიტექტორი, იმ სისხლიანი რეჟიმის, თანაც ერთ-ერთი სერიოზული, ხელწამოსაკრავი არ გეგონოთ, იმხელა დეპარტამენტის უფროსი იყო.

***— ამიტომაც ხომ არ აბრალებენ გახარიას, ნაცებთან არის გარიგებულიო?***

— არა მგონია, ნაცებთან გარიგებული იყოს. არ ვიცი, რა ტაქტიკა აქვს არჩეული. შესაძლოა, გახარია ადგა და ამ ეტაპზე გადაწყვიტა, რომ არ ღირს აქტიურობა. ხაზარაძე იყო ერთი, რომელსაც დამოუკიდებლად შეეძლო, პოლიტიკა ეტარებინა, მაგრამ მთელი მისი რესურსი დაიხარჯა იმაში, გაასამართლებენ თუ არ გაასამართლებენ. ახლა ამის მერე სერია გაგრძელდება სააპელაციოში და ამასობაში პენსიაზეც გავა ხაზარაძე. მოკლედ, რეალური ოპოზიცია დღეს ქვეყანას არ ჰყავს.

**„ხაზარაძე იყო ერთი, რომელსაც დამოუკიდებლად შეეძლო, პოლიტიკა ეტარებინა, მაგრამ მთელი მისი რესურსი დაიხარჯა იმაში, გაასამართლებენ თუ არ გაასამართლებენ, ახლა ამის მერე სერია გაგრძელდება სააპელაციოში და ამასობაში პენსიაზეც გავა ხაზარაძე“**

# 28 იანვარს თბილისი-მოსკოვი-თბილისის ჩარტერული რეისი შესრულდება



ჯორჯიან ეარვეისმა 28 იანვარს თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით პირდაპირი ფრენა დანიშნა.

კომპანიის დირექტორმა თამაზ გაიაშვილმა ფორმულას უთხრა, რომ ეს ჩარტერული რეისია, რომელიც პერიოდულად სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე ინიშნება.

რუსეთთან პირდაპირი ფრენები ოფიციალურად არ აღდგენილა.

საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა 2019 წლის ზაფხულში შეწყდა ე.წ. გავრილოვის ღამისა და მისი თანმდევი მოვლენების გამო.

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, რუსულ ავიაკომპანიებს დროებით ეკრძალებათ საქართველოში ავიამიმოსვლა.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „რუსეთი უკრაინის ხელისუფლებას აიძულებს, გადადგეს ან ქვეყნის ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს“

## ვახტანგ მაისაია: „ამერიკა თავისი ძალისხმევით ორ ფრონტზე ომობს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**



***– ბატონო ვახტანგ, ერთ მხარესაა უკრაინა, მთელი დასავლეთი – ამერიკა-ევროპა, მეორე მხარეს კი – რუსეთი, ბელორუსი და ჩინეთი, რომელთან ერთადაც ახლახან რუსეთმა სამხედრო წვრთნები ჩაატარა.***

– სპარსეთის ყურეში.

***– დიახ. ძალიან დიდი დაპირისპირებაა არა მარტო უკრაინასთან დაკავშირებით, არამედ, ზოგადად, მსოფლიო ქვეყნების ორ ბანაკს შორის. ამჟამინდელ მდგომარეობას როგორ აფასებთ?***

– ამჟამად ძალიან რთული სიტუაციაა. ახალი ცივი ომი ცხელ ფაზაში შევიდა. კარიბის კრიზისისაგან განსხვავებით, როდესაც ორი სახელმწიფო და ბიპოლარული წესრიგი იყო, ახლა ტრიპოლარული წესრიგია, ანუ ჩინეთი-რუსეთი-ამერიკა.

ამერიკა თავისი ძალისხმევით ორ ფრონტზე ომობს. მან ცალკე შეკრა სამხედრო ბლოკი ავზუსი (ავსტრალია-ბრიტანეთი-ამერიკა), რომელიც მიმართულია ჩინეთის ექსპანსიონიზმის შეკავებისკენ. მეორეა ნატო. ამერიკა ცდილობს, ნატო გამოიყენოს და ნატოს მეშვეობით რუსეთი შეაკავოს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, მათ შორის, შავი ზღვის აკვატორიაში.

***– ამერიკა საჭიროების შემთხვევაში აღმოსავლეთ ევროპაში 8 ათას ჯარისკაცს გადმოისვრის. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში ამერიკა და ევროპა, შეიძლება, უშუალოდ ჩაერთონ დაპირისპირებაში?***

– არა, ამის საფრთხე არ არის. ამერიკა უკრაინის გამო რუსეთთან ომს არ დაიწყებს. თუ რუსეთი ბალტიისპირეთსა და პოლონეთში შეიჭრა, მაშინ ამერიკას მოუწევს ჩართვა, რადგან ნატოს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ფორმატი ამოქმედდება. მე-4 მუხლი კონსულტაციების დაწყებაა, მე-5 კი – ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ამოქმედება. მე-5 მუხლი უკვე ამოქმედებულია ბალტიისპირეთისა და პოლონეთისთვის. ამერიკა პოლონეთში 8 ათას სამხედრო მოსამსახურეს გადმოისვრის. უკრაინაზე მე-5 მუხლი არ ვრცელდება და ამიტომ რუსეთთან კონფლიქტში არავინ შევა.

შეიძლება, ამერიკელებმა კერძო სამხედრო კომპანიის დაქირავებული მებრძოლები გააგზავნონ. „ვაგნერის ჯგუფი“ მარტო რუსეთს არ გააჩნია. ეს არის მითი. „ვაგნერის ჯგუფი“ ამერიკასა და ბრიტანეთსაც ჰყავს და შეიძლება კერძო დაქირავებული მებრძოლები გადაისროლონ. მეტი პოტენციალი მათ არ აქვთ. კიდევ შეიძლება სამხედრო ინსტრუქტორები მიავლინონ, ისიც, თუ საომარი მოქმედებები დაიწყო, ამერიკას სამხედრო ინსტრუქტორების უკან გამოძახება მოუწევს.

კერძო მეომრები თუ დარჩებიან, სხვა საქმეა, თუმცა ომის ტყვეების კანონი მათზე არ გავრცელდება. რუსულ საოკუპაციო ძალებს მათი ადგილზე ლიკვიდაცია შეუძლიათ, დაქირავებული მებრძოლების სტატუსიდან გამომდინარე.

***– რუსეთი მოქმედებებს ამკაცრებსო, უკრაინის საზღვრიდან 250 კილომეტრის მოშორებით წვრთნებს ატარებს. ეს სიახლოვეც კი აშფოთებთ.***

– 250-300 კილომეტრის სიშორე თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებისთვის სავსებით საკმარისია სარაკეტო და ზალპური ცეცხლური სისტემებით დარტყმების განხორციელებისთვის. სამხედრო თვითმფრინავების ოპერატიული სივრცისთვისაც საკმარისია, რომ განახორციელონ კიევის საჰაერო-სარაკეტო დაბომბვები, თუკი ამ მიმართულებით საომარი მოქმედებები განვითარდება. იმედია, საქმე აქამდე არ მივა.

მეორეც – უკრაინის საზღვრებთან (10-20 კმ-ის მოშორებით) კონცენტრირებულია რუსეთის სამხედრო ტექნიკა და 100-150 ათასი ჯარისკაცი, მაგრამ რუსეთი ამ კონტინგენტით უკრაინის ოკუპაციას ვერ განახორციელებს. ეს ზღაპარი და მითია.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მოცულობა 225 ათას ადამიანს შეადგენს. აქედან დაახლოებით 120 ათასი ადამიანი კონცენტრირებულია დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების მიმართულებით, ანუ ეს სტრატეგიული ოპერაციების ზონაა, სადაც კონცენტრირებულია ორი საარმიო კოალიცია, ანუ უკრაინის შეიარაღებული ძალების ნახევარზე მეტი კონცენტრირებულია დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების მიმართულებით, რაც სავსებით ლოგიკურია. დანარჩენი შეიარაღებული ძალები განაწილებულია ტერიტორიული პრინციპით. ახლა უკრაინა კიდევ 15 ტერიტორიულ თავდაცვით ბრიგადას ქმნის.

***– თუ არ ვცდები, უკრაინის სამხედრო წარმომადგენლობამ განაცხადა, 450 ათასი კაცი საბრძოლველად მზად არისო.***

– ეს იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადდება საყოველთაო მობილიზაცია, თუმცა ასეთი სამობილიზაციო ძალების რაოდენობა შეიძლება მაინცდამაინც საკმარისი არ იყოს, რადგან აქ ხარისხზეა საუბარი. 2008 წელს საქართველომ რეზერვისტებს გაუკეთა მობილიზაცია, მაგრამ 2-3 საათში მარტივ მამრავლებად დაიშალა, როგორც კი რუსები წამოვიდნენ.

ასეთ რეზერვზე დაყრდნობა მაინცდამაინც არ შეიძლება. რუსებს შეუძლიათ, უკონტაქტო ბრძოლების მეშვეობით რეზერვი გაანადგურონ. უბრალოდ, მოსახლეობის გულის მოსაფხანად შეიძლება თქვა, ჩვენ ამდენი შეიარაღებული ძალა გამოგვყავს და ამით რუსებს ვაიძულებთ, ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოვიდნენო. რუსები, მგონი, არც აპირებენ შეჭრას, რადგან 100 ათასი კაცით უკრაინაში შეჭრას ვერ შეძლებენ.

შეიძლება, დონეცკსა და ლუგანსკში არსებული საარმიო კორპუსები ალყაში მოაქციონ და მარიოპულის, აზოვისა და შავი ზღვების სანაპიროებთან არსებული ქალაქები დაიკავონ და, დავუშვათ, პლაცდარმი გააფართოონ, რომ (პირობითად) არმიას არ მიეცეს საშუალება, შავი ზღვის აკვატორია გამოიყენოს, ანუ უკრაინის აკვატორია არ გამოიყენოს. ამაზე შეიძლება რუსეთი წავიდეს.

***– არ მიეცეს საშუალება უკრაინას თუ დასავლეთს?***

– დასავლეთს, ნატოს. ამის გაკეთება საკმარისია, მთლიანად უკრაინის დაპყრობა კი – მითი.

***– რუსეთმა მთლიანად საქართველო არ დაიპყრო, მაგრამ დიდი ტერიტორიები ჩამოგვგლიჯა. როგორც ჩანს, დაზვერვა კარგად მუშაობს, რადგან თქვეს, რუსეთი ლუგანსკის, დონეცკის, ხარკოვისა და ოდესის ოკუპაციას გეგმავსო. ამ რეგიონებს რომ ჩამოაცლი, რაღა დარჩება?***

– ეგ საშიშროება არსებობს. 100-150 ათასი კაცით შეიძლება ლუგანსკისა და დონეცკის მიმართულებით შეტევა განახორციელოს მარიოპულზე, მარიოპულიდან შეტევა განახორციელოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ და, ვთქვათ, მოახდინოს ხერსონის, ოდესისა და ნიკოლაევის დაკავება, შესაბამისად, განახორციელოს ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის პლაცდარმის, ანუ ისეთივე ტიპის სეპარატისტული რეგიონების შექმნა, როგორიცაა ლუგანსკი და დონეცკი, მსგავსი ვითარება ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკისკენ გადმოიტანონ.

ეს ვარიანტი უფრო ზუსტი მგონია. დონეცკი, ლუგანსკი-ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის რეგიონების ხარჯზე მოხდება სერიოზული პლაცდარმის შექმნა უკრაინის წინააღმდეგ. შემდეგ შეიძლება ეს რუსებმა გამოიყენონ შემდგომი მოლაპარაკებების საწარმოებლად და, კრიზისული ვითარების ფონზე, უკრაინაში ხელისუფლება შეცვალონ.

***– რადგან აშშ-სა და სხვა სახელმწიფოებს უკრაინიდან თავიანთი დიპლომატების ოჯახის წევრები გაჰყავთ, რუსეთის უკრაინაზე შეტევა გარდაუვალია?***

– ისინი ითვალისწინებენ უკრაინისა და საქართველოს გამოცდილებას, თორემ შეიძლება ეს არის მხოლოდ სამხედრო მუქარა და მუქარის მეშვეობით სასურველი ფონის, ანუ რუსეთისთვის სასურველი ფსიქოლოგიური გეოპოლიტიკური ტროლის შექმნა, რომლის მეშვეობითაც რუსეთი უკრაინის ხელისუფლებას აიძულებს, გადადგეს ან ქვეყნის ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. ეს არის მათი მთავარი მიზანი.

როგორც კი მოლდოვის პროდასავლურმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ მოლდოვა ნატოში არ შევიდოდა, ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, „გაზპრომი“ მაშინვე მოელაპარაკა და მოლდოვას გაზს 300 დოლარად 1000 კუბურ მეტრზე აწვდიან.

***– უკრაინასთან დაკავშირებით აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზეა. რუსეთის მოთხოვნების მაქსიმუმი რა შეიძლება იყოს?***

– რუსეთს უნდა, 1997 წლის სტატუსკვო აღდგეს, ბულგარეთიდან და რუმინეთიდან ნატოს ძალები გაიყვანონ და უკრაინა რუსეთის გავლენის სფეროში შევიდეს. 1997 წელს დაიდო ხარკოვის ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით უკრაინას რუსეთმა დაუკანონა სამხედრო ბაზები სევასტოპოლში, პრეზიდენტმა ელცინმა გააფორმა კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ხელშეკრულება. გამოდის, უკრაინას ჰქონდა ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი.

რუსები ასევე ითხოვენ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა არ განთავსდეს.

***– შექმნილ სიტუაციაში რუსეთისა და დასავლეთის მოთხოვნებში ურთიერთკომპრომისი რა შეიძლება იყოს?***

– რუსეთისთვის კომპრომისი შეიძლება იყოს, თუ უკრაინა და საქართველო ნატოში არ შევლენ და ნეიტრალიტეტს გამოაცხადებენ, თუმცა, არა მგონია, რუსეთი ამაზეც დასთანხმდეს. ამ ეტაპზე ასეა. მეორეა ნატოს კოალიციური სამხედრო ინფრასტრუქტურის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განთავსებაზე უარის თქმა. ამაში ბალტიის სახელმწიფოებიც იგულისხმებიან. ეს არის რუსეთის მოთხოვნები ამერიკის მიმართულებით.

***– მგონი, ახლა საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება, თუმცა დღეს ძირითადი ზეწოლა უკრაინაზეა.***

– ასეა, ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გასაღები ახლა უკრაინაშია.

***– უკრაინისთვის დასავლეთისა და მეგობარი სახელმწიფოების დახმარება საკმარისია?***

– რასაც დასავლეთი უკრაინისთვის აკეთებს, დახმარების მაქსიმუმია. 200 მილიონი დოლარის იარაღი გამოეყო. გეოპოლიტიკური მუქარები ხორციელდება. თუ რუსეთი სამხედრო მუქარას ახორციელებს, დასავლეთი პოლიტიკურ მუქარას ახორციელებს – ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებენ.

***– რუსეთს დამანგრეველი ეკონომიკური სანქციები დაუწესდებაო. შეიძლება, სანქციები რუსეთისთვის მართლა დამანგრეველი იყოს?***

– არა მგონია. ამაში შეიძლება ცოტა ეჭვი შევიტანო. 2014 წელს დასავლეთის მიერ გამოცხადებული სანქციები დამანგრეველი იყო, მაგრამ რუსეთმა ეკონომიკური მდგომარეობის ადაპტირება, გარკვეულწილად, მოახერხა. რუსეთს „სვიფტის“ სისტემა თუ გაუთიშეს, პრობლემები შეიძლება დასავლეთსაც შეექმნას. „სვიფტის“ გათიშვა იოლი არ არის, საერთაშორისო დონის სისტემაა. მე მხოლოდ სიტყვიერი მუქარა მგონია. აქტიური ფსიქოლოგიური-საინფორმაციო ომი მიმდინარეობს. რუსეთმა ახლა კიბერომიც დაიწყო – უკრაინული საიტები გათიშა და დასავლეთზეც განახორციელა შეტევები.

# რა თავისტკივილს უმატებს რუსეთს თურქეთი

## გერმანული მედია ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდებს, არ გაიმეოროს უკრაინისა და საქართველოს წინაშე დაშვებული შეცდომები

მარიამ მჭედლიშვილი

მთლიანობაში, დასავლეთი ერთიანია უკრაინის კრიზისის საკითხსა და რუსეთთან დამოკიდებულებაში. ზოგიერთი დასავლური სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის დათმობები რუსეთის მიმართ ხდება კრიტიკის საგანი, რაც ადრე ნაკლებად შეინიშნებოდა. მაგალითად, „დოიჩე ველე“ მოუწოდებს გერმანიის ხელისუფლებას, არ თქვას უარი უკრაინისათვის იარაღის მიწოდებაზე.

ავტორი ევგენი ტეიზე წუხილს გამოთქვამს, რომ გერმანია არ გამოეხმაურა კიევის მოწოდებებს თავდაცვითი იარაღის მოწოდებაზე. გერმანია რაკეტების ნაცვლად უკრაინას შესთავაზებს საველე ჰოსპიტალს. მისი თქმით, პუტინს მარტო ძალის ენა ესმის და იმედის დამყარება მოსალოდნელ ანტირუსულ ეკონომიკურ სანქციებზე იმისთვის, რომ გააჩეროს უკრაინის საზღვარზე ფართო ფრონტით გაშლილი ტანკები, სისუსტის გამოვლინებაა. დემოკრატიული უკრაინა სერიოზული საფრთხეა მოსკოვის რეჟიმისათვის.

ტეიზეს აზრით, პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაში გერმანიიდან კრიზისულ რეგიონებში (უკრაინაში) იარაღის გადაცემა შესაძლებელია. რამდენიმე წლის წინ გერმანიამ იარაღით მოამარაგა ერაყელი ქურთები.

ავტორი აცხადებს, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეცდომაა. ამას ადასტურებს უახლესი ისტორია. 2008 წელს უკრაინა და საქართველო ნატოს ზღურბლთან იდგნენ. სწორედ გერმანიამ შეუშალა ხელი იმას, რომ მათ მიეღოთ გაწევრიანების მოქმედებათა გეგმა. რუსეთმა ამით ისარგებლა და ჯერ საქართველოში შეიჭრა, 2014 წელს კი – უკრაინაში.

იგი მოუწოდებს გერმანიის ხელისუფლებას, არ გაიმეოროს საქართველოსა და უკრაინის წინაშე დაშვებული შეცდომები და რუსეთის აგრესიის მიმართ უფრო მკაცრი იყოს.

ახლანდელი ვითარება რთულია მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით – ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცისათვის. მძიმე სიტუაციაშია უკრაინა, ასევე, საქართველო. ამასთან, მომგებიან მდგომარეობაში არც რუსეთი იმყოფება.

რუსეთში განიცდიან საკუთარი გავლენის დაკარგვას მთელ რიგ ქვეყნებზე. რუსეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიააშკარავებს, რომ კრემლს აწუხებს თურქეთის აქტიურობაც. არადა, თურქეთი რუსეთთან თანამშრომლობს ბევრ საკითხში. ეს ორი ქვეყანა დაჟინებით ეპატიჟება საქართველოს „3+3“ ფორმატის გაერთიანებაში.

რუსი ანალიტიკოსების თქმით, თურქეთი რჩება ნატოს წევრად და რუსეთის შემაკავებლად სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში და სირიაშიც კი. ანკარა ეხმარება დიდ ბრიტანეთს ცენტრალურ აზიაში გავლენის მოპოვებაში.




რუსეთში აშინებთ თურქეთის ამბიციები და პანთურქიზმის აღორძინება. ავტორები აცხადებენ, რომ ანკარას წარმატებები აქვს სამხრეთ კავკასიაში, ასევე – ლიბიასა და სირიაში. თურქეთი მზადაა, მანევრირება მოახდინოს დიდი სახელმწიფოების ინტერესებსა და საკუთარ ამბიციებს შორის.

რუსი ანალიტიკოსების სიტყვებით, თურქეთი დასავლეთთან ერთად ცდილობს რუსეთის დასუსტებას, გაზგამანაწილებელი ჰაბებისა და ნავთობსადენების გადატანას რუსეთის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

დიდი ალბათობით, შექმნილ ვითარებაში რუსეთ-თურქეთის კონკურენცია გაიზრდება და მათ შორის თანამშრომლობა სათუო გახდება. საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ეს ცუდი არ უნდა იყოს.

არსებულ სიტუაციაში ხდება ცვლილებები. ერთი ასეთი სიახლეა ახალი ალიანსის შექმნა უკრაინას, პოლონეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის. სამთა კავშირის რუკა წარმოადგინა დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის საბჭომ. რუკაზე გამოსახულია სამმხრივი ღერძი, რუსეთი და ბელარუსი კი მტრულ სახელმწიფოებად არის მიჩნეული.

– ვეძებთ ახალ კონფიგურაციას. უკრაინის საგარეო პოლიტიკაში დიდი ხანია არსებობს შავი და ბალტიის ზღვების ღერძის იდეა. უკრაინის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის ღერძი უნდა გავაძლიეროთ და გავაფართოოთ, – აცხადებს უკრაინის საგარეო მინისტრი კულება.

თუ ეს ღერძი მართლაც გაფართოვდა, მაშინ ახალ ალიანსში არ არის გამორიცხული საქართველოს შესვლა.

## პროკურატურამ მეტროში ლეონ ა-ს ცემისთვის დაკავებულ 2 პოლიციელს ბრალდება წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ მეტროსადგურ ისანში არასრულწლოვანზე ძალადობისთვის დაკავებულ პატრულ-ინსპექტორს არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, ხოლო ინციდენტში მონაწილე მეორე პატრულ-ინსპექტორს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 23 იანვარს მეტროსადგურ ისანის შენობაში განთავსებულ პოლიციის ოთახში პატრულ-ინსპექტორი ნ.ბ. არაადამიანურად მოეპყრო არასრულწლოვან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლ.ა.-ს. პატრულ-ინსპექტორმა დაზარალებულ არასრულწლოვანს რამდენიმეჯერ დაარტყა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„ძალადობის ფაქტის შემსწრე მეორე პატრულ-ინსპექტორმა კ.ბ.-მ, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებული იყო, აღეკვეთა მისი მეწყვილის ძალადობრივი ქმედება, ასევე, სამართლებრივი რეაგირება მოეხდინა დანაშაულებრივ აქტზე და ეცნობებინა ფაქტი შესაბამისი უწყებისთვის, აღნიშნულის საპირისპიროდ, რათა არ მომხდარიყო მისი მეწყვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად და არ შეასრულა არც ერთი ზემოაღნიშნული ვალდებულება.

გამოძიების პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის აქტიური თანამშრომლობით და ჩართულობით, მალევე დადგინდა ინციდენტში მონაწილე ორივე პატრულ-ინსპექტორის ვინაობა, რის შემდეგაც გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთანავე, ორივე ბრალდებული დაკავებულ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ.

პატრულ-ინსპექტორს ნ.ბ.-ს ბრალად ედება არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 ტერცია მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პატრულ-ინსპექტორ კ.ბ.-ს ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს პროკურატურა ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს.

პროკურატურა სასამართლოს ასევე, ბრალდებულების თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

დაკავებული პატრულ-ინსპექტორები ბრალს არ აღიარებენ.

გამომძიებელ ირაკლი ლეხოშვილის თქმით, ორივე ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს.

## „მეტრომონი არ გვქონდა და მეტროს გადავახტით“

### როგორ დაიწყო კონფლიქტი მეტრო ისანში



– ჩემზე ბევრი ცუდი კომენტარი წავიკითხე, ბევრი შეურაცხყოფა წავიკითხე. მინდა, რომ იმ ხალხს მივმართო, ვინც შეურაცხყოფას მაყენებს. თქვენ რომ ჩემ ადგილას იყოთ, ანალოგიურს გააკეთებდით, თუ იცით ადამიანობა და მეგობრობა შემოგრჩათ, ეგ სირცხვილი არაა. მე ჩემს მეგობარს გვერდზე ვედგები და მინდა, რომ ჩემს მეგობარს სტიმული მივცე და შეურაცხყოფებისგან თავი შეიკავეთ.

ამის შესახებ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში დაზარალებულ ლეონ ამბანცუროვის მეგობარმა გიორგი ჯოჯიაშვილმა განაცხადა.

პოლიციელის მიერ მისი მეგობრის ცემის კადრები მისი გადაღებულია. ჯოჯიაშვილი ამბობს, რომ მისი მიზანი მეგობრის მხარდაჭერა და მისი გაძლიერებაა, რადგან პოლიციელის მსგავსმა დამოკიდებულებამ ის შეიძლება ცხოვრებისეულად დაჩაგროს.

– შეიძლება ასეთმა საქციელმა დისკომფორტი შეუქმნას, შეიძლება სუიციდამდე მიიყვანოს. შშმ პირია, შეიძლება, ეს ყველაფერი სხვანაირად მიიღოს. ან ცხოვრებისეულად დაიჩაგროს, თუ ვინმე გვერდზე არ დაუდგა და თუ სტიმული არ მისცა. მე მივცემ სტიმულს, რომ განაგრძოს ცხოვრება და იცოდეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და მე ლეონს ჩვეულებრივი მოლაპარაკე ადამიანისგან არ ვასხვავებ, – განაცხადა გიორგი ჯოჯიაშვილმა.

ჯოჯიაშვილმა მეტროსადგურში განვითარებული მოვლენები გაიხსენა.

– ჩვენ არ გვქონდა გასატარებელი მეტრომონი და გადავახტით მეტროს, ჩემი მეგობარი ლეონი ესკალატორის მოაჯირზე შემოჯდა და ზემოთ მყოფმა სამართალდამცავმა დაუძახა, ჩამოდიო. ჩვენ, მეგობრებმა, ვუთხარით, რომ ჩამოსულიყო. როგორც ჩანს, ზემოთ მყოფმა პოლიციელმა ქვევით პოლიციელებს გადასცა ამ ფაქტის შესახებ და უკან ამოგვატრიალეს, გვითხრეს, წამოდითო.

შეუპასუხებლად გავყევით. ჩემს მეგობარს მოჰკიდეს ხელი. ვეუბნები, რომ ხელი გაუშვით, ყრუ-მუნჯია და თუ რამე გინდათ, გადავუთარგმნით. ეგონათ, რომ ვატყუებდით. ისმის კიდეც ვიდეოში, როცა ვუთხარით, რომ ყრუ-მუნჯია, გვითხრეს, ჩვენ ავალაპარაკებთო. მერე ნახეთ, რა მეთოდით მოინდომა მისი ალაპარაკება, – თქვა გიორგი ჯოჯიაშვილმა.

## თელავში ერთმანეთს 2 მანქანა დაეჯახა

### 2 ახალგაზრდა დაშავდა

გუშინ, 26 იანვარს, თელავში, მშვიდობის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ახალგაზრდა მძიმედ დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს 2 ავტომობილი შეეჯახა.

ერთ-ერთი ავტომობილიდან დაშავებულების გამოსაყვანად სამაშველო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო.

ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, რომელიც საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებდა.

## შატალოვას მკვლელობისთვის დაკავებულ 2 პირს ბრალდება დაუმძიმდა



საქართველოს პროკურატურამ ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე დაკავებულ ორ პირს ბრალდება დაუმძიმა. ინფორმაციას ამის შესახებ გენერალური პროკურატურა ავრცელებს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 18 ოქტომბერს ბ.ლ. და ბ.ხ. ამ უკანასკნელის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით, ანასტასია შატალოვას განზრახ მოკვლის მიზნით, მისი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდნენ. ბ.ლ. კორპუსის სადარბაზოსთან ანასტასია შატალოვას დაელოდა და მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანებები მიაყენა, შემდეგ კი ბ.ხ.-სთან ერთად ავტომობილით შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

იმავე დღეს ბ.ხ., რომელიც ლ.რ.-ს ბინაში იმალებოდა, ჩხრეკის ჩასატარებლად მისულ პოლიციის თანამშრომლებს თავს დაესხა, რა დროსაც მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა, ხოლო მას შემდეგ, რაც ლ.რ.-მ პოლიციის თანამშრომლებს ბ.ხ.-ს დაკავებაში ხელი შეუშალა, ეს უკანასკნელი აივნიდან გადახტა, ხოლო ხელყუმბარა კორპუსის ქვემოთ მდგომი პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით ისროლა, ხელყუმბარა არ აფეთქდა და იქვე მდებარე ავტოფარეხის თავზე დაეცა.

სამართალდამცველებმა ბ.ხ. და ბ.ლ. 18 ოქტომბერს დააკავეს. სამართალდამცველებმა ბ.ლ.-ს პირადი ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 3,85 გრ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

გამოძიების პროცესში დამატებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ბ.ლ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად), 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარება, ჩადენილი ჯგუფურად) და 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა) წარედგინა.

ხოლო ბ.ხ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად), 236-ე მუხლის მესამე, მეოთხე და მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარება, ჩადენილი ჯგუფურად) და 19-353 პრიმა მუხლის მესამე ნაწილით (პოლიციელის სიცოცხლის მოსპობის მცდელობა, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) წარედგინა.

ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

რაც შეეხება ამავე საქმეზე დაკავებულ ლ.რ-ს, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით), 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა) და 265-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა და მოყვანა) აქვს წარდგენილი“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ანასტასია შატალოვას ოჯახი გამოძიებით უკმაყოფილოა. ოჯახის ადვოკატის, პაატა შავაძის, თქმით, ბრალდებულებისთვის ბრალის დამძიმება საკმარისი არაა და ამ საქმეში მთავარი ისაა, რომ მკვლელობის მოტივი ამ დრომდე უცნობია.

ადვოკატის ინფორმაციით, დამკვეთთან მიმართებაში საქმე გაჭიანურებულია და ამით სწორედ გამოძიებაა დაინტერესებული, რადგან პროკურატურამ დამკვეთის ნაწილი ცალკე გამოყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე თაროზე შემოიდო.

## ლეონ ა-ს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა

მეტროსადგურ ისანში პოლიციელის მიერ ნაცემ შშმ პირს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს.

ლონდა თოლორაიას უწყების თანამშრომლებმა შშმ პირს სახლში მიაკითხეს და საგამოძიებო პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გადაიყვანეს.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, პოლიციელის მიერ ნაცემი ლეონ ა. მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში იმყოფება და მას სპეციალისტების დახმარება სჭირდება.

არასრულწლოვნის საქმეზე შესაძლოა დამნაშავე პირთა წრე გაიზარდოს. ,,პირველებისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შშმ პირი სამართალდამცველების სამიზნე წარსულშიც არაერთხელ გამხდარა, თუმცა ამ ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა.

დაზარალებულის მეზობლის თქმით, 2 წლის წინ 17 წლის შშმ პირზე გამომძიებელმა ირაკლი აბსანძემ იძალადა და მას სასურველი ჩვენების მიღების მიზნით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

– ეს ოჯახი მართლა შეშინებულია, სტრესის ქვეშ არის, ერთხელ იყო პოლიციაში ჩაყვანილი. ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო ამ ბავშვზე. ეს იყო 2 წლის წინ, როცა გამომძიებელმა ირაკლი აბსანძემ ზეწოლა მოახდინა ამ ბავშვზე, ისეთი ზეწოლა განახორციელა, რომ შემოატრიალა ბავშვის ჩვენება, თითქოს დედა სცემდა, მამა სცემდა, ტყუილი ათქმევინა.

ისიც კი გამიგია, რომ გამომძიებელ ირაკლი აბსანძეს ბავშვისთვის ხელიც კი გაურტყამს ორჯერ, რომ განცხადებაზე ხელის მოეწერა, რომ თითქოს მამა ძალადობდა მასზე, – უთხრა ტვ პირველს ლეონის მეზობელმა.

## ზუგდიდში ქალზე ძალადობისთვის პოლიციელი დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ ქალაქ ზუგდიდში ქალზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე პოლიციის თანამშრომელი გიორგი ბიგვავა დააკავა.

ინფორმაციას თავად პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 25 იანვარს ქ. ზუგდიდში, პოლიციის თანამშრომელმა გ.ბ.-მ პირად საკითხზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს მეგობარ ქალს მ.თ.-ს სახეში ხელი რამდენჯერმე დაარტყა.

პროკურატურამ გ.ბ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო 26 იანვარს დააკავა.

დაკავებულს ბრალდება კანონით დადგენილ ვადაში წარედგინება, რის შემდეგაც პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს.

ამ დრომდე უცნობია, აღიარებს თუ არა გიორგი ბიგვავა ქალზე ძალადობის ფაქტს.

დაკავებულმა ადვოკატს მედიასთან კონტაქტი აუკრძალა.

– არ მიმიღია თანხმობა, გავაკეთო თუ არა მისი სახელით განმარტებები იმ ინფორმაციაზე, რომელსაც დღეს მე ვფლობ. მიმდინარეობს გამოძიება და შევხედოთ. რაც შეეხება გამოძიებას, წარდგენილია 126-ე მუხლის პირველი ნაწილი, – ამბობს ადვოკატი.

ნაცემმა ქალმა სამართალდამცველის წინააღმდეგ ჩვენება უკვე მისცა.

## „გორის რესტორან „ყოზეფში“ ნაჩხუბარი პოლიციელები ქურდებმა გოგლიკამ და ჩორნამ შეარიგეს“

დაპირისპირება იყო შიდა ქართლის პოლიციაში – ერთმანეთზე განაწყენებულმა სამართალდამცველებმა 15 იანვარს გორში, რესტორან „ყოზეფში“ იჩხუბეს.

გავრცელებული ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ პოლიციელებმა შერიგების პროცესში კრიმინალური ავტორიტეტები ჩართეს.

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები „მთავარი არხის“ შეკითხვებს არ პასუხობენ. მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ გიორგი კანდელაკის რესტორანშიც.

დაპირისპირების დეტალებზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ანა ბალიაშვილმა ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, პოლიციელების შერიგების პროცესში კრიმინალური ავტორიტეტები გოგლიკა და ჩორნა იღებდნენ მონაწილეობას.

– შიდა ქართლის პოლიციისა და სუს-ის მაღალჩინოსნები ქეიფობდნენ რესტორან „ყოზეფში“ და მათ შორის მოხდა დაპირისპირება, კონფლიქტი. ეს დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ მათ ერთმანეთთან ურთიერთობის გასარკვევად და შესარიგებლად დასჭირდათ კრიმინალური ავტორიტეტები, ვინმე ჩორნა და ვინმე გოგლიკა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიციელებმა ვერ მოახერხეს ამ კონფლიქტის განეიტრალება.

ძალიან სამარცხვინოა, როდესაც პოლიციელებს ერთმანეთთან ურთიერთობის გასარკვევად სჭირდებათ კრიმინალური ავტორიტეტები, – აღნიშნა ანა ბალიაშვილმა.

მისივე თქმით, ვიდეოკადრები, რომლებზეც დაპირისპირება იყო ასახული, რესტორანმა „ყოზეფმა“ წაშალა, თუმცა ამაზე გამოძიება არ დაწყებულა.

უცნობია, დაიწყო თუ არა მოკვლევა მომხდართან დაკავშირებით შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ.

## იმერეთში 1 ღამეში 35 მანქანა გაძარცვეს

იმერეთში ერთ ღამეში 35 მანქანა გაძარცვეს. დაზარალებულები ამბობენ, რომ პოლიციას არც ერთ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია.

ყველა ფაქტს ერთი ხელწერა აქვს: ჩამსხვრეულია მინები, წაღებულია მაგნიტოფონები, აუდიოაპარატურა და ნივთები.

დაზარალებულები ტვ პირველთან ყვებიან, რომ რამდენიმე მანქანიდან წაღებულია თანხაც.

# ბაიდენი პუტინს პერსონალური სანქციებით დაემუქრა

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ თუკი რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაწესებას განიხილავს.



– ის თუ მთელი ძალებით შევა, ეს იქნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი შეჭრა, რაც შეცვლის მსოფლიოს, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

კითხვაზე, განიხილავს თუ არა ის ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაწესებას, აშშ-ის პრეზიდენტმა უპასუხა: „დიახ, მე ამას განვიხილავ“.

ამასთან, მისი თქმით, შეერთებული შტატები უკრაინაში ჯარის შეყვანას არ გეგმავს, თუმცა რუსეთს სერიოზულ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, თუ ის შეიჭრება.

– ჩვენ განზრახული არ გვაქვს, უკრაინაში ამერიკული ძალების, ნატოს ძალების, განთავსება, მაგრამ, როგორც ვთქვი, თუკი ის შეიჭრება, ამას სერიოზული ეკონომიკური შედეგები მოჰყვება, – აღნიშნა ბაიდენმა.

25 იანვარს უკრაინამ შეერთებული შტატებიდან სამხედრო დახმარების მესამე პარტია მიიღო.

# ხორვატიის პრემიერმა პრეზიდენტის სიტყვების გამო უკრაინელებს ბოდიში მოუხადა

ხორვატიის პრემიერ-მინისტრმა ანდრეი პლენკოვიჩმა უკრაინის საკითხზე ქვეყნის პრეზიდენტ ზორან მილანოვიჩის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ბოდიში მოიხადა.



– იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში სამხედროები არ გვყავს, ხოლო პოლონეთში მყოფი ჩვენი კონტინგენტი სამშობლოში უკვე დაბრუნდა, არ ვიცი, რომელი სამხედროების გამოყვანას აპირებს პრეზიდენტი.

უკრაინაში კორუფციასთან დაკავშირებით მისი განცხადება არ არის ჩვენი პოზიცია და მთავრობის სახელით უკრაინელებს ბოდიშს ვუხდი, – განაცხადა ხორვატიის პრემიერ-მინისტრმა.

25 იანვარს ხორვატიის პრეზიდენტმა ზორან მილანოვიჩმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემთხვევაში ხორვატია ნატოს ძალების შემადგენლობიდან თავის სამხედრო კონტინგენტს გაიყვანს.

მან ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის ადგილი ნატოში არ არის.

# კრემლმა კადიროვს შენიშვნა მისცა

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთმა უკრაინის ოკუპაცია აქამდე არ მოახდინა.



– მე რომ რუსეთის პრეზიდენტი ვიყო, უკრაინულ პრობლემას კარგა ხნის წინ გადავჭრიდი, – განაცხადა კადიროვმა.

კადიროვს პასუხი პუტინის თანაშემწე პესკოვმა გასცა:

– კადიროვი საკუთარ თავზე მეტისმეტს იღებს. ბატონი პუტინის, ანუ რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლის გადასაწყვეტია, რას იზამს, – თქვა პესკოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სპორტი

# საქართველომ კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი დაკარგა

კიდევ ერთი დიდი ოლიმპიელი და ღირსეული მოქალაქე გამოგვაკლდა – 72 წლის ასაკში ვერაგ ვირუსს ემსხვერპლა ქეთევან ლოსაბერიძე: ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მშვილდოსანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდსმენი, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.



ლოსაბერიძემ მშვილდოსნობაში ვარჯიში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას დაიწყო და ცოტა ხანში ყურადღება მიიქცია, როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდამ, რომელსაც წინ დიდი სპორტული წარმატებები ელოდა. მისი ოლიმპიური დებიუტი 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა – რამდენიმე ქულა დააკლდა მედლამდე და მეოთხე ადგილი ერგო. მანამდეც და მერეც, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქეთევანი მაშინდელი საბჭოთა ნაკრების ლიდერის რანგში გამოდიოდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საერთო გამარჯვებებში, ტოლს არ უდებდა უძლიერეს აზიელ მეტოქეებს და ხშირად ამარცხებდა მათ.

სწორედ ლოსაბერიძე იყო პირველი ევროპელი მშვილდოსანი ქალი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა და დღემდე ერთადერთ ევროპელად რჩება, რომელსაც ყველაზე მაღალი ხარისხის ჯილდო აქვს მოპოვებული. ეს მოხდა მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიადაზე, სადაც უკვე სოლიდურ ასაკში იშვიათი ბრძოლის უნარი და დიდი სპორტული ოსტატობა გამოავლინა, ოლიმპიური რეკორდი დაამყარა და ამაყად შედგა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

აქტიური სპორტული ცხოვრების დასრულების შემდეგ ქეთევან ლოსაბერიძე პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა და, როგორც ნიჭიერ მათემატიკოსს, აქაც წარმატებული კარიერა ჰქონდა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის კურსი მიჰყავდა, პარალელურად კი არც სპორტსა და მშვილდოსნობას ივიწყებდა. რამდენიმე წელიწადს სათავეში ედგა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციას, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალბედა მშვილდოსნებს, აქტიურად საქმიანობდა სეოკ-ის ქალთა კომისიაში, რეგულარულად მონაწილეობდა მნიშვნელოვან ოლიმპიურ ღონისძიებებში, ოლიმპიურ მუზეუმში ხშირად მასპინძლობდა საჯარო სკოლების მოსწავლეებს, გატაცებით უყვებოდა მათ ძველ სპორტულ ამბებს, აცნობდა ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის საინტერესო ისტორიას.

ჩვენი სპორტის წინაშე ქეთევან ლოსაბერიძის დამსახურება აღინიშნა არაერთი ჯილდოთი, მათ შორის ღირსების, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით, სეოკ-ის ორდენითა და მედლით.

ქეთევან ლოსაბერიძე მშობლიურ ტყიბულში დაკრძალეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი



# 30 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილი ძაღლი ცოცხალი გადარჩა

ინგლისის აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოს ქალაქ სიფორდში ძაღლი, სახელად მაქსი, 30 მეტრის სიმაღლიდან წყალში გადავარდა და ისე გადარჩა, რომ არანაირი დაზიანება არ მიუღია.

ბორდერ-კოლი მაქსი სეირნობის დროს კლდიდან მოწყდა და წყალში ჩავარდა. ის ერთგვარ პოტენციურად სასიკვდილო ხაფანგში აღმოჩნდა: ძაღლი იდგა ხმელეთის მომცრო კუნძულზე. დამოუკიდებლად იქიდან თავის დაღწევა მას არ შეეძლო. მისი გადარჩენის ერთადერთ გზას კლდეზე აცოცება წარმოადგენდა.

მაქსის დასახმარებლად შემთხვევის ადგილზე გაეშურნენ საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებული სამეფოს სანაპიროებზე ადამიანებისა და ცხოველების გადარჩენით არიან დაკავებული. სამი წევრისგან შემდგარმა ეკიპაჟმა ძაღლამდე ნავით მიაღწია. ერთ-ერთი მათგანი კუნძულზე გადავიდა და მაქსი სასუსნავით მიიზიდა.

ძაღლი სწრაფად გაუშინაურდა მაშველებს. ის მალევე ჩასვეს ნავში და სანაპიროზე გადაიყვანეს, სადაც პატრონი ელოდა.

# ქალმა ელექტრონულ ფოსტაში სპამიანი საქაღალდე გახსნა და გამდიდრდა



ამერიკის მიჩიგანის შტატში ქალმა სპამიან საქაღალდეში შემთხვევით აღმოაჩინა შეტყობინება, რომელშიც ეწერა, რომ მან ლატარიაში სამი მილიონი დოლარი მოიგო.

55 წლის ლორა სპირსის თქმით, ის ელექტრონულ ფოსტაში ეძებდა წერილს და გადაწყვიტა შეემოწმებინა სპამიანი საქაღალდე. მისი გახსნის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ შეტყობინებაში ეწერა, რომ მან ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

– დავინახე წერილი ლატარიისგან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრიზი მოვიგე. ვერ ვიჯერებდი იმას, რასაც ვკითხულობდი და ლატარიის გვერდზე ჩემ აკაუნტში შევედი, რათა ამ ყოველივეს დადასტურება მიმეღო. დღემდე მაოგნებს ის ფაქტი, რომ მართლაც მოვიგე სამი მილიონი დოლარი, – აღნიშნა სპირსმა, რომელიც, მოულოდნელად გამილიონერების შემდეგ, ვადაზე ადრე აპირებს პენსიაზე გასვლას.

# დაკარგული მამაკაცის ნაწილები ნიანგის კუჭში იპოვეს



ინდონეზიის პროვინცია პაპუაში ადგილობრივებმა დაკარგული მამაკაცის სხეულის ნაწილებს შვიდმეტრიანი ნიანგის კუჭში მიაგნეს.

აღნიშნულ რეგიონში ხშირად უჩინარდებოდნენ ადამიანები. მორიგ უგზოუკვლოდ დაკარგულად იქცა 30 წლის დემიენს იუდა, რომელიც მდინარეზე კიბორჩხალების გასარეცხად იყო წასული.

ქალაქ ტიმიკის სამძებრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა ჯორჯ მერსი რენდონგმა განაცხადა, რომ დაკარგული ინდონეზიელის სამძებრო სამუშაოებში ადგილობრივები თანამშრომლობდნენ ხელისუფლებასთან. სამძებრო ჯგუფმა უზარმაზარი ნიანგი შენიშნა და მისი დაჭერა გადაწყვიტა.

შვიდმეტრიანი ნიანგის მუცლის გაფატვრის შემდეგ, ადგილობრივებმა რეპტილიის კუჭში ადამიანის სხეულის ნაწილები აღმოაჩინეს. პოლიციამ ისინი შესამოწმებლად და მსხვერპლის პიროვნების დასადგენად ექსპერტიზაზე წაიღო, შემდეგ კი დაღუპულის ოჯახს გადასცეს მიწისთვის მისაბარებლად. მათ ასევე გადაეცათ მკვლელი ნიანგის სხეულიც.

# ქალმა საქმრო ქორწილის წინ მიატოვა და სხვას გაჰყვა ცოლად



ინდოეთის მადრასის შტატის ქალაქ პანრუტიში საცოლემ საქმრო ქორწილის წინა დღეს მიატოვა და სხვას გაჰყვა ცოლად.

ინჟინერი მამაკაცისა და ასპირანტი გოგონას ქორწილი 20 იანვარს უნდა შემდგარიყო. ზეიმის წინა დღეს ნათესავებმა გადაწყვიტეს, საზეიმო მიღება მოეწყოთ, რომელზეც დიჯეიც მიიწვიეს. საქმრო და საცოლე სიამოვნებით ცეკვავდნენ და ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, სანამ მათ საპატარძლოს ბიძაშვილი არ შეუერთდა. მან ჯერ წყვილს ხელი ჩაავლო და მათთან ერთად ცეკვავდა, შემდეგ კი წყვილს შორის ჩადგა და მათ ხელები მხრებზე მოხვია, რითიც საქმროს უკმაყოფილება გამოიწვია.

გაბრაზებულმა სასიძომ საცოლე და მისი ნათესავი ხელის კვრით მოიშორა და, როგორც გოგონას ოჯახის წევრები ამტკიცებენ, საცოლეს სილაც კი გააწნა. მომხდარიდან რამდენიმე საათში მათ გოგონასთვის ახალი საქმრო გამონახეს და მეორე დილით ქორწილი გადაიხადეს.

მამაკაცს ყოფილი საცოლისა და მისი ახლობლების გადაწყვეტილება არ მოეწონა. მისი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 700 ათასი ინდური რუპია დახარჯა საზეიმო მიღებასა და ქორწილზე და პოლიციაში განცხადება შეიტანა გამოძიების ჩატარების და მისთვის ფულის დაბრუნების მოთხოვნით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კოვიდ-19-მა ახალგაზრდა წყვილი დააქორწინა



ჩინელმა წყვილმა, რომელსაც კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შემთხვევით პაემანი გაეწელათ, დაქორწინება გადაწყვიტა.

პროვინცია შენსის მკვიდრი ჩჟაო სიაოცინი ახალგაზრდა მამაკაც ჩჟაო ფეისთან ქალაქ სიანიანში პაემანზე გაემგზავრა.

– იქ ღამის გასათევად დარჩენას არ ვაპირებდი, ვინაიდან ეს მეტად უცნაური იქნებოდა, – აღნიშნა ქალმა, რომელსაც იმ მომენტისთვის მამაკაცი მხოლოდ მეორედ ჰყავდა ნანახი. მისი განმარტებით, როდესაც პირველად ნახა მამაკაცის ფოტოსურათი, მისით თითქმის არ დაინტერესებულა, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ ცხოვრებაში ის გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

წყვილის პაემნის დროს ქალაქის ხელისუფლებამ კოვიდ-19-ის გამო სრული კარანტინი გამოაცხადა. შედეგად გოგონა მამაკაცის ოჯახში სტუმრად ჩარჩა და სახლში დაბრუნება ველარ შეძლო. ჩჟაოს ოჯახის წევრები გოგონას არწმუნებდნენ, რომ მას ცოლად გაჰყოლოდა, თუმცა თავდაპირველად გოგონა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა.

მიუხედავად მათი ურთიერთობის უცნაურად დაწყებისა, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა წყვილს ერთმანეთი შეუყვარდა და დაქორწინება გადაწყვიტეს.

# ინგლისურ ოჯახში 75 წლის განმავლობაში პირველი გოგონა დაიბადა



ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ ნორტფლიტში ოჯახში, რომელშიც 75 წლის განმავლობაში მხოლოდ ბიჭები იბადებოდნენ, 1947 წლის შემდეგ პირველი გოგონა დაიბადა, რომელსაც მაევა დაარქვეს.

განსაკუთრებით გახარებული ამ მოვლენით ახალშობილის 100 წლის დიდი ბებია გვენ სმიტი დარჩა. ვინაიდან ის მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს, მის ნათესავებს დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეთანხმება დასჭირდათ, რათა ბავშვის დაბადება ფართო წრეში აღენიშნათ. ზეიმზე ოჯახის ხუთმა თაობამ მოიყარა თავი. სტუმართა შორის გვენ სმიტის ხუთი შვილიშვილი, რვა შვილთაშვილი და ექვსი შვილთაშვილის შვილი იმყოფებოდა.

სმიტი 1921 წლის 28 თებერვალს დაიბადა. 16 წლის ასაკში გაიცნო ახალგაზრდა, სახელად რონი, ხოლო 1940 წელს მას ცოლად გაჰყვა. ქორწილის შემდეგ რონი ხუთი წლით გაერთიანებული სამეფოს არმიის საინჟინრო ჯარების შემადგენლობაში საზღვარგარეთ გააგზავნეს. დაბრუნების შემდეგ წყვილი ბევრს მოგზაურობდა და ორი გოგონა შეეძინათ, გლორია და სანდრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ბუდუ ზივზივაძე: „მესი ამ სამყაროდან არ არის“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კანდიდატი **ბუდუ ზივზივაძე** უნგრულ ფეჰერვარ-ში თამაშობს. ჩვენებურმა იქაურ მედიას ვრცელი ინტერვიუ მისცა.

***– კიდევ 2 თამაში და უნგრეთში 100 მატჩი დაგიგროვდებათ. ამ ხნის განმავლობაში 26 გოლი გაიტანეთ. ეს ნორმალურია?***

– შეიძლება, მეტიც გამეტანა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, ბოლო 6 თვეში ბევრი არ მითამაშია. ამას ობიექტური მიზეზები აქვს – კორონავირუსი მქონდა, მერე მუხლი ვიტკინე. მერე ისევ ეპიდემიამ იფეთქა და 5 დღე ცუდად ვიყავი, თითქმის ყველა შესაძლო სიმპტომი გამომივლინდა... მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ სახლში უმწეოდ ვიწექი და ამასობაში 20 დღე გავიდა. საბედნიეროდ, ცუდი პერიოდი დავასრულე და ვიბრძვი, ვვარჯიშობ იმისთვის, რომ საგაზაფხულო ეტაპისთვის მაქსიმალურად მზად ვიყო და მოედანზე გავიდე.

***– სასტარტო შემადგენლობაში თამაში კენან კოდროსა და ნემანია ნიკოლიჩთან კონკურენციის გამოც არ გიწევდათ.***

– მათ გვერდით ძირითადში მოხვედრა ადვილი არ არის. რა თქმა უნდა, კონკურენციით ყველაზე მეტად გუნდი სარგებლობს. მათ ჩემს არყოფნაში შანსი მიიღეს, ყველა თავდამსხმელი ცდილობს, ეს შანსი გამოიყენოს და მაქსიმუმი გააკეთოს.

***– და მაინც, მომხდარზე როგორი რეაქცია გაქვთ, იმედგაცრუებული ხართ?***

– რა თქმა უნდა! ფეხბურთელს ყოველთვის უნდა თამაში, მაგრამ მწვრთნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიშვებს, თუ კარგად ითამაშებ. ყოველთვის მინდა თამაში, მაგრამ ტრავმამ ან ცუდმა მატჩმა, შეიძლება, ცხოვრება გაგირთულოს.

***– ბავშვობაში ისეთივე ნიჭიერი იყავით, როგორიც თემურ ქეცბაია და შოთა არველაძე თუ ისინი მაინც განსაკუთრებულები იყვნენ?***

– ასე არ გამოვირჩეოდი. ისეთივე ნიჭი რომ მქონოდა, ალბათ, ახლა ტოპლიგაში ვითამაშებდი. შოთა ყველა დროის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია, ის დიდ კლუბებში – აიაქსსა და რეინჯერსში თამაშობდა, იყო საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი და ჰქონდა გასაოცარი სიზუსტე. მისი კარიერული წარმატების ნახევარსაც რომ მივაღწიო, ბედნიერი ვიქნები.

***– კახა კალაძემ პოლიტიკური კარიერა აირჩია, იყო პარლამენტის წევრი, ვიცეპრემიერი, ამჟამად თბილისის მერია.***

– კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში მწვრთნელად ან სპორტულ დირექტორად დარჩენას ვისურვებ. რა თქმა უნდა, კალაძე ლეგენდარული ფიგურაა ქართულ ფეხბურთში. ტიტულების მხრივ ის დღესდღეობით მიუწვდომელია.

***– როგორ გარემოში გაიზარდეთ?***

– საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში დავიბადე, საშუალო ოჯახში. ჩვენ არ ვიყავით ღარიბები, მაგრამ არც მდიდრები ვყოფილვართ. მშობლები ყოველთვის მეხმარებოდნენ. როცა კარგად არ ვთამაშობდი, ყოველთვის ყველაფერში მხარში მედგნენ.

***– რა მიგაჩნიათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად?***

– ჩემი ოჯახი. შვილის დაბადებამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. მისთვის ყველაფერს ვაკეთებ. ის ჩემი ყველაზე დიდი მოტივაციაა. მაგრამ ჩემს გულში, ჩემი პატარა ქალიშვილისა და მეუღლის გარდა, განსაკუთრებული ადგილი მშობლებსა და დას უკავიათ. მნიშვნელოვანია ჩემი მეგობრებიც – მათ გარეშე ვერ გავძლებდი.

***– ბავშვობაში რა გიყვარდათ?***

– ფეხბურთი! როცა დავიწყე ფეხბურთის ყურება, მაშინ მივხვდი პირველად, რომ მინდოდა, ფეხბურთელი გავმხდარიყავი. გამიჩნდა სურვილი, ტელევიზორსა და სტადიონებზე მეც გამოვჩენილიყავი. 12-13 წლის ასაკში ჩემი მიზანი იყო, ერთ დღეს ბარსელონაში მეთამაშა. მალე 28 წლის გავხდები და ამას სიზმარში თუ ვნახავ, მაგრამ ოდესლაც ეს მოტივაციას მმატებდა. ფეხბურთი ძირითადად რონალდინიოს გამო შემიყვარდა. შემდეგ ჩემი ფავორიტი ინიესტა გახდა. დღეს ყველაზე მეტად პედრის თამაში მომწონს. მესის არ ვახსენებ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამ სამყაროდან არ არის. მას შემდეგ სულ ვუყურებ ბარსელონის მატჩებს.

***– ყოველთვის თავდასხმაში თამაშობდით?***

– თავიდან „ათიანი“ ვიყავი, მაგრამ ბევრი გოლი გამქონდა. 12 წლამდე ყველა ტურნირში ბომბარდირი ვხდებოდი და უკვე 9 წელია, რაც თავდასხმაში ვთამაშობ. ბავშვობაში „ათიანის“ პოზიციაზე თამაშს იმიტომ ვანიჭებდი უპირატესობას, რომ ბევრჯერ შემეძლო ბურთთან შეხება, პასების კეთება, თამაშის მსვლელობის გაკონტროლება... დღესაც მიყვარს ის მომენტი, როცა თანაგუნდელს გოლის გატანაში ვეხმარები...



***– თქვენსავით ორივე ფეხს კარგად იშვიათად თუ ვინმე იყენებს. ეს ნიჭია თუ ბევრს ვარჯიშობდით?***

– ალბათ, ღვთის საჩუქარია. ორივე ფეხით ვვარჯიშობ, მაგრამ – არც ისე ბევრს. ეს უპირატესობაა, რომ ორივე ფეხის თითქმის თანაბრად გამოყენება შემიძლია. მაგრამ ჩემი მარცხენა უფრო ძლიერია. სამწუხაროდ, თავით იმაზე სუსტად ვთამაშობ, ვიდრე ეს სასურველია და ვცდილობ, ეს კომპონენტი გავაუმჯობესო.

***– მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ძლიერი მხარე ორივე ფეხით თანაბრად კარგად თამაშია, თუ ფიზიკურ მონაცემებს გამოარჩევდით?***

– შეიძლება, ორივეზე ასე ითქვას... საგოლე ალღოსაც დავამატებდი.

***– ყველაზე მეტად გოლის გატანა გსიამოვნებთ?***

– შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ზოგადად მოედანზე ყოფნაც მსიამოვნებს. თუ ვითამაშებ, ბედნიერი ვარ. შესაძლოა, ჩემი პრობლემა ის არის, რომ საკმარისად ეგოისტი არ ვარ. გასულ სეზონში იყო ეპიზოდი, როცა მშვიდად გადავაწოდე ბურთი ივან პეტრიაკს ბუდაფოკთან მატჩში, როცა თავადაც შემეძლო გატანა. თუმცა, ვიმეორებ, თავდამსხმელი, გარკვეულწილად, ეგოისტი უნდა იყოს.

***– ქალიშვილის გარდა, ვინ ან რა არის თქვენი მოტივაცია?***

– მიყვარს ფეხბურთი და შრომისმოყვარეც ვარ, რადგან მსურს, ბომბარდირი ვიყო და ტიტულები მოვიპოვო. შარშან ჩემს თავს მიზნად დავუსახე, რაც შეიძლება ბევრჯერ მეთამაშა ნაკრებში და 4-ჯერ მოვახერხე მოედანზე გასვლა. ახლა ჩემი მოტივაციაა, დავუბრუნდე ფეჰერვარის სასტარტო შემადგენლობას. უკვე ორწელიწად-ნახევარია, უნგრეთში ვთამაშობ, 2-ჯერ ვიყავი თასის ფინალში, მაგრამ დავმარცხდით... არადა, სულ მოგება მინდა. ერთ დღესაც, როცა განვლილ კარიერას გადაავლებ თვალს, პირველ რიგში, გამარჯვებები გახსენდება. საბედნიეროდ, საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულ გუნდში მოხვედრა მოვახერხე. მაშინ ბომბარდირიც გავხდი და გადამწყვეტ მატჩში 2 გოლიც გავიტანე. ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო მატჩად მიმაჩნია.

***– თქვენი დანიური თავგადასავალი რატომ არ შედგა?***

– მხოლოდ 21 წლის ვიყავი, ინგლისური არ ვიცოდი და ეს მთავარი პრობლემა იყო. მწვრთნელთან, თანაგუნდელებთან კომუნიკაციის საშუალება არ მქონდა... ამას გარდა, პირველად ვიყავი უცხოეთში ოჯახისა და შეყვარებულის გარეშე. ამ ცვლილებებთან გამკლავება გამიჭირდა. ქართული და დანიური ლიგები ძალიან განსხვავებულია. დანიური ტემპი უცებ ვერ ავითვისე. ესბიერგში მხოლოდ რამდენიმე თამაში ჩავატარე, მაგრამ ერთხელ მაინც გავიტანე, ამიტომ, შინ მთლად უგოლოდაც არ წამოვსულვარ... ასე რომ, თუ შემიძლია დღეს ახალგაზრდებს რაიმე ვურჩიო, ამას ვეტყვი – ისწავლეთ ენები, ისწავლეთ ინგლისური, რადგან არასოდეს იცით, ცხოვრებაში რა შანსები გაგიჩნდებათ. დანიური გამოცდილება ძალიან დამეხმარა „მეზოკოვეშდში“ და ამიტომაც ვითამაშე კარგად ამ გუნდში. დანიაში ვისწავლე, როგორ მოვემზადო მატჩებისთვის, როგორ მივაღწიო წარმატებას დამოუკიდებლად.

***– უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში რა გეგმები გაქვთ?***

– მსურს, ფეჰერვარში რამდენიმე წელი დავრჩე...

# ქუთაისი ქორქია-საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებულია

ქუთაისი-მეგა 93:78
(33:15, 19:28, 24:13, 17:22)

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის გამარჯვებული ქუთაისია. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ შეხვედრაში თბილისური მეგა 93:78 დაამარცხა და ტიტული შეინარჩუნა. სულ იმერულ კლუბს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის ტურნირი 5-ჯერ აქვს მოგებული.



ქუთაისელთა მეტოქე გახლდათ მეგა – გუნდი, რომელიც წინა სეზონში ა ლიგაში ასპარეზობდა და ახლა სუპერლიგის დებიუტანტია. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მემორიალზე ღირსეულად ითამაშა, ფინალის საგზური მოიპოვა. თუმცა, სუპერლიგის ლიდერმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, მემორიალის ფინალურ მატჩს დაძაბულობა აკლდა. მასპინძლებმა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და შეხვედრა ისე მოიგეს, საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ.

ტუღუშის შეგირდებმა თამაში მძლავრად დაიწყეს და უკვე პირველივე მეოთხედში 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. მეგა არ გატყდა, გაიბრძოლა და იყო პერიოდი, როდესაც სხვაობა შვიდ ქულამდე ჩამოიყვანეს. მეგამ ცოტა ხანს კიდევ იბრძოლა და შემდეგ ისევ მასპინძლების ჯერი დადგა.

მესამე მეოთხედის შუაწელიდან ქუთაისელთა უპირატესობამ ზრდა იწყო და ერთ მომენტში 24 ქულას მიაღწია, ხოლო დასკვნითი მეოთხედის წინ 20 ქულით ლიდერობდა.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და გუნდებმა ინერციით ჩაამთავრეს.

ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. თავდაპირველად დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი. პრიზი ქუთაისის ზურაბ საკანდელიძის სახელობის საკალათბურთო კლუბმა დააწესა. პრიზის მფლობელი გახდა ქუთაისელი ლუკა გორგოძე, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა თემურ ქორიძემ დააჯილდოვა.

ტურნირის საუკეთესო უკანახაზელი ქუთაისელი ადრიან ბოუი გახდა, რომელიც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად კოტრიკაძემ დააჯილდოვა. საუკეთესო ფორვარდის ტიტული ქუთაისელთა გუნდის ლეგიონერ ჯარვის რეის ერგო, რომელიც საქართველოს პარლამენტის ქუთაისელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ლომინაძემ დააჯილდოვა.

ქუთაისელთა კაპიტან აკაკი დვალიშვილს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის თასი ქუთაისის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე პაატა გურასპაულმა გადასცეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**25 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| სენეგალი-კაბო ვერდე | 2:0 |
| მაროკო-მალავი | 2:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-პიტერბრო | 2:2 |
| ქოვენთრი-სტოკი | 1:0 |
| ქპრ-სუონსი | 0:0 |
| ლუთონი-ბრისტოლი | 2:1 |
| ნოტინგემი-ბარნსლი | 3:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი | 1:1 |
| გენტი-ოსტენდე | 1:1 |
| შარლერუა-კორტრაიკი | 1:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სტ.მირენი-აბერდინი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| სინერი-ციციპასი | 3:6,4:6,2:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კოლიმზი-კორნე | 7:5,6:1 |
| შვიატეკი-კანეპი | 4:6,7:6,6:3 |

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 2. მგალობელი ჩიტი; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 5. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 8. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში; 9. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 12. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 19. ჰერმეტული მინის ჭურჭელი წამლისთვის; 20. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. გულის ნაწილი; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 15. ცნობილი ქართველი ჰომეოპათი ექიმი, პროფესორი; 18. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 21. ბაზარში დაწესებული ფასი; 22. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 23. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 24. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაწარა; 2. ევრო; 3. დემაგოგია; 4. ბზობა; 5. შამგონა; 8. ვეზუვი; 9. ჩაკვეტაძე; 12. კენედი; 14. აზდაკი; 16. ოტიტი.

**თარაზულად:** 1. ბარომეტრი; 6. გეოდეზია; 7. წალვერი; 9. ჩაჟაში; 10. ბაშო; 11. კუბრიკი; 13. ფრაზა; 15. ვერიკო; 17. მარაბდა; 18. ჭერამი; 19. ტრაკაი; 20. სიმეონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქლუხორი; 2. ხრიდოლი; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. ანაკლია; 16. ჟოეკვარა; 17. ბორჯომი; 19. კომბლე; 20. საუზმე.

**თარაზულად:** 6. ალოტროპია; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ჰოსტელი; 11. ყორე; 14. ბენეტონი; 15. ფოლკლორი; 18. ჯოკერი; 21. ოტიატრი; 22. ყანწი; 23. ეოლითი; 24. ვანდალები.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0696

ევრო — 3.4625

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1464

100 რუსული რუბლი — 3.8759

## ამინდის პროგნოზი 27 იანვრისათვის




## მოდრიჩმა რეალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



ლუკა მოდრიჩმა მადრიდის რეალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის ამ გუნდში 2023 წლის ივლისამდე იქნება და მისი ანაზღაურებაც შესაძლოა გაიზარდოს. მოდრიჩი თითქოს რეალიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ დარჩენა ამჯობინა, რადგან, მოდრიჩის თქმით, მას სწორედ რეალში სურს კარიერის დასრულება.

ლუკა რეალის ღირსებას 2012 წლიდან იცავს.

## მბაპეს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია



პსჟ-ს ფორვარდ კილიან მბაპეს საბოლოო გადაწყვეტილება თავის მომავალთან დაკავშირებით არ მიუღია და შესაძლოა მან პსჟ-ში დარჩენაც გადაწყვიტოს, თუ გუნდი წლევანდელ სეზონში წარმატებას მიაღწევს.

ყველასთვის ცნობილია, რომ მბაპე რეალში აპირებს კარიერის გაგრძელებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ აქვს ეჭვები და შესაძლოა ყველაფერი მოხდეს.

## ვეინალდუმს ინგლისში დაბრუნება სურს



ჟორჟინიო ვეინალდუმი პსჟ-ში ბედნიერი არ არის და ინგლისში სურს დაბრუნება, სადაც მისი შეძენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

ერთ-ერთი მათგანი ლონდონის არსენალია, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს.

არსენალის გარდა, ვეინალდუმს კიდევ რამდენიმე ვარიანტი აქვს და არც მისი ლივერპულში დაბრუნებაა გამორიცხული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ძაღლმა შვლის ნუკრი გადაარჩინა



ტიკტოკის მომხმარებელმა ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ გადაარჩინა წყალში დახრჩობას მისმა ლაბრადორმა შვლის ნუკრი, მაგრამ ამ შემთხვევის ამსახველმა ვიდეომ არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია სოციალური ქსელის მომხმარებლებში. ლოუსონ ფილდერის ძაღლი წყალში გადახტა და პატრონს ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი ცხოველი მოუყვანა.

– კიდევ ვინმეს ძაღლი იქცევა ასე? – დაწერა ვიდეოს კომენტარში ლაბრადორის პატრონმა.

ვიდეოში ჩანს, როგორ ჩნდება შავი ფერის ძაღლი მდინარის მეორე ნაპირის ბუჩქებიდან. როდესაც ის ჩქარ მდინარეს გადმოცურავს, ნათელი ხდება, რომ მას პირით შვლის ნუკრი უჭირავს. ისმის გადარჩენილი ცხოველის ხმაც, რომელიც საცოდავად ბღავის. ძაღლს ის წყლიდან ამოჰყავს და პატრონთან მიჰყავს. ხუთ დღეში აღნიშნულმა ვიდეომ 12 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა. მის კომენტარებში სოციალური ქსელების მომხმარებლების შეხედულებები გაიყო. ნაწილმა ძაღლი შეაქო შვლის ნუკრის გადარჩენისთვის, სხვების ვარაუდით კი მან პატრონს ნადავლი მოუყვანა.

– ძაღლები ადამიანებზე ჭკვიანები არიან. მას რომ ცხოველისთვის ზიანის მიყენება სდომოდა, ამას გააკეთებდა, მას კი ის პირით საკმაოდ ფრთხილად ეჭირა, – დაწერა ერთ-ერთმა საკუთარ კომენტარში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

ქმარი გვიან ღამით სახლში ნასვამი ბრუნდება. ცოლი კი უყვირის და თითით საათზე მიუთითებს.

ქმარი:

– რას მიმითითებ საათზე? იდეალური მეუღლე გყავარ!

– რაა?

– რა და დედაჩემი მამაჩემს ცხვირწინ კალენდარს უფრიალებდა!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, ერთი ის მავთული მომაწოდე, ძირს, რომ აგდია.

ცოლი დაიხრება და მავთულს აიღებს. ქმარი ეუბნება:

– კარგი დადევი, დენი მეორე მავთულში ყოფილა.

●●●

მილიონერს თავისი ერთადერთი ქალიშვილი გაეპარა. მთელი დღის უშედეგო ძებნის შემდეგ საღამოს შვილმა დაურეკა და ეუბნება:

– მამა, ერთი ბიჭი მიყვარდა და ცოლად გავყევი.

– კარგი, შვილო, რაღა გაეწყობა და მოიყვანე და გამაცანი ეგ შენი რჩეული.

მეორე დღეს ქალიშვილი შეყვარებულთან ერთად შეხვდა მამას. კაცმა სიძეს ხელი ჩამოართვა და შემდეგ ეკითხება:

– ეგ ნაბიჯი რომ გადადგი, რაიმე ხელობა თუ გაქვს, თავი რომ ირჩინო?

– არა.

– მერე რას ფიქრობ?

– ღმერთი მომცემს.

– კარგი და სახლი თუ გაქვს, სადაც ჩემს ქალიშვილთან ერთად იცხოვრებ?

– არა, მაგრამ ღმერთი მომცემს.

– მანქანა თუ გყავს?

– არა, ღმერთი მომცემს.

– კარგი, ყველაფერი გასაგებია, – კაცმა ბიჭს ხელი ისევ ჩამოართვა, მერე კი ქალიშვილთან მივიდა და ეუბნება:

– არა, ცუდი ბიჭი არ არის, კარგი შეხედულებისაც არის, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომეწონა, ღმერთს რომ მეძახდა.

●●●

სტუმრად მისული ნათესავი მასპინძელს ეკითხება:

– სად ისწავლე ასეთი გემრიელი საჭმელების მომზადება?

– ეს ჩემი ყოფილი ცოლის წყალობითაა...

– მაგარია, ყოჩაღი ყოფილა!

– რა ყოჩაღი, საერთოდ არ იცოდა საჭმელების კეთება და იძულებული ვიყავი, მესწავლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მინდია ესაძე საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტია



საქართველოს კინოაკადემიის რიგგარეშე ყრილობა კინოაკადემიის პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით დასრულდა.

ყრილობაში მონაწილეობა მიიღო კინოაკადემიის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ – 150-მა წევრმა და მათ ფარული კენჭისყრით დააფიქსირეს თავიანთი არჩევანი.

კინოაკადემიის პრეზიდენტობისთვის კენჭს იყრიდა კინოაკადემიის 6 წევრი – კონსტანტინე (მინდია) ესაძე, გიორგი თორაძე, გიორგი გურგულია, გენადი ცაავა, გუჯა ბურდული და ქეთევან ჯანელიძე.

კანდიდატებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: კონსტანტინე (მინდია) ესაძე 80 ხმა – 53.7%, გიორგი თორაძე 38 ხმა – 25.5%, გიორგი გურგულია 12 ხმა – 8,1%, გენადი ცაავა 9 ხმა – 6%, ქეთევან ჯანელიძე 7 ხმა – 4.7% და ელგუჯა ბურდული 3 ხმა – 2%. 1 ბიულეტენი გაბათილდა.

კონსტანტინე (მინდია) ესაძე საქართველოს კინოაკადემიას 5 წლის ვადით უხელმძღვანელებს.

## გიორგი გაგნიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



მსოფლიოში ცნობილ ქართველი ოპერის მომღერალს სახელობით ვარსკვლავს ოპერის თეატრის წინ გაუხსნიან.

11 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გიორგი გაგნიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

„25 წელი მსოფლიო საოპერო სცენებზე" – ასე ეწოდება ღონისძიებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის „ნაბუკო".

## გუჯა ბურდული დააჯილდოვეს



მსახიობი გუჯა ბურდული დააჯილდოვეს.

სომეხი რეჟისორის მიერ ბაბუისთვის მიძღვნილ ფილმში „მე გაჩუქებ გამარჯვებას" ქართველმა მსახიობმა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო მიიღო.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გუჯა ბურდულს უცხოეთში აჯილდოებენ. მსახიობი არაერთი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებულია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## შიშველი ქალების გადაღების მოყვარულმა პოლიციელმა თავი ციხეში ამოყო



დიდ ბრიტანეთში განაჩენი გამოუტანეს პოლიციის ოფიცერს, რომელიც შიშველ ქალებს ვიდეოზე იღებდა.

ბრიტანეთის პოლიციის 40 წლის თანამშრომელი ნეილ კორბელი თავს ავიაპილოტად ასაღებდა, რომელიც ამავდროულად ფოტოგადაღებებით იყო დაკავებული და მოდელებსა და სექსმუშაკებს სასტუმროს ნომრებსა და ოთახებში იწვევდა. მანამდე კი ის აყენებდა ფარულ ვიდეოკამერებს, რომლებიც შენიღბული იყო დამტენ მოწყობილობებში, დეზოდორანტებში, ხელსახოცების კოლოფებსა და სხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებში. ასეთი საშუალებით მან მოახერხა, გადაეღო ის მომენტები, როდესაც ქალები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ, ტანსაცმლის გამოცვლის მომენტებში გადაეღო.

აწ უკვე ყოფილი პოლიციელი მას შემდეგ ჩავარდა, რაც ერთ-ერთი მოდელის ყურადღება მიიქცია ნომერში დატოვებულმა საეჭვო საათმა. გოგონამ გადაწყვიტა, მისი სახელწოდება ინტერნეტში მოეძებნა და აღმოაჩინა, რომ ასეთი სავაჭრო მარკით იყიდებოდა ჯაშუშური კამერები. ჩხრეკის შედეგად კორბელს აღმოუჩინეს ვიდეოკამერები, რომლებზეც 51 ქალი იყო გადაღებული. მოგვიანებით მან დანაშაული აღიარა და სამი წლით პატიმრობა მიესაჯა.

## მამაკაცი სტაფილოს ზვავმა იმსხვერპლა



ესპანეთის სეგოვიის პროვინციის ქალაქ ვალიელადოში მუშა სტაფილოს ზვავში მოყვა და დაიღუპა.

აღნიშნული ინციდენტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწყობში მოხდა. 34 წლის მამაკაცი, რომელიც ოჯახურ ფერმაში მუშაობდა, ჩამოშლილი პროდუქტების ქვეშ მოყვა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ექიმები, მეხანძრეები და პოლიციელები, თუმცა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს. ესპანელი დაიღუპა. მომხდარის გამოძიება დაწყებულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

27 იანვრისათვის



**ვერძი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **თხის რქა** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **მერწყული** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის" ავტორი; 5. იტალიელი მოდელიერი; 8. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. თეატრალური პრემია საქართველოში; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. რომელიმე რელიგიის მოძღვრების ახალი მიმდევარი; 9. ევროპელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 10. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 11. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველებური სახელწოდება; 19. ჩრდილო ამერიკაში ბინადარი დიდი დათვი; 20. სამრეწველო რაიონი პოლონეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

